


ગુજરાતી રચનાઓ

અસ્વામીયાની કાબૂ





THE MAN WITHOUT A COUNTRY

BY


EDWARD E. HALE.



ედუარდ ე. ჰეილი

უსამაგრძლო პატი

ინგლისურიდან თარგმნა თამაზ ნატროშვილმა



თბილისი

2023

შემდგენელ-რედაქტორი ქეთევან ტომარაძე

წიგნი გამოიცა უსაფრთხოების
სფეროს მკვლევართა ასოციაციის (usma/
ASRS) ინიციატივით
ელ.ფოსტა: usma.association@gmail.com



წიგნი აქტუალური და დაკაბადონდა
მისამართი: თბილისი, გ. ჩუბინაშვილის 50, ოფისი 17.
<https://www.facebook.com/designcentreKB>



დაიბეჭდა სტამბაში „მპს პოლიგრაფიულუსი“
მისამართი: თბილისი, დიღმის მასივი, გრ. რობაქიძის ქ. 7.

მაღლობას ვუხდით დაცვის კომპანია „მაგისტრს“ და „საქართველოს
ჯიუ ჯიუს ტურს“ წიგნის გამოცემაში გაწეული თანადგომისათვის.



მოცემული წიგნის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება იქნას რეპროდუცირებული,
გაფრცელებული ან გაცამული რაიმე ფორმით და რაიმე საშუალებით, მათ შორის
ელექტრონული, მექანიკური, კოპირების, სკანირების, ჩაწერის ან რაიმე სხვა გზით
გამომცემლის წინაწარი წერილობით თანხმობის გარეშე.

გამოქვეყნების უფლების შესახებ გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე:
usma.association@gmail.com

©ქეთევან ტომარაძე.თბილისი.2023 წ.

©(უსმა/ASRS).თბილისი.2023 წ.

ISBN 978-9941-8-5638-9

რედაქტორისბან

ამერიკული მწერლის, ედუარდ ევერეტ ჰეილის (1822-1909) სახელი ქართველი მკითხველისთვის კიდევ კარგა ხანს უცნობი დარჩებოდა, რომ არა გაზეთ „ჩვენი მწერლობის“ 2003 წლის თებერვლის ნომერში გამოქვეყნებული მოთხრობა „უსამშობლო კაცი“. მოთხრობა ინგლისურიდან თარგმნა ჩინებულმა მკვლევარმა, მწერალმა, პუბლიცისტმა და მთარგმნელმა თამაზ ნატროშვილმა.

მრავალი რომანის, მოთხრობის, პამფლეტის, პუბლიცისტური წერილის ავტორის, ედუარდ ჰეილის შემოქმედებიდან ამერიკულმა მკითხველმა „უსამშობლო კაცი“ გამოარჩია და განსაკუთრებით შეიყვარა. პირველად ეს მოთხრობა 1863 წელს, ურნალ „ატლანტიკ მანსლის“ ფურცლებზე გამოჩნდა და დიდი მოწონება ხვდა წილად. მას მერე „უსამშობლო კაცი“ ცალკე წიგნად არაერთხელ დაიბეჭდა.

უცნობია რომელი ინგლისურნოგანი გამოცემა შეარჩია მთარგმნელმა ქართველი მკითხველისთვის ამ არაჩვეულებრივი მოთხრობის გასაცნობად. მრავალი ვერსიიდან, რომელიც ხელთ მქონდა, 1888 წელს დასტამბულ ვარიანტზე შევჩერდი. აღნიშნული, სხვებისგან განსხვავებით, ავტორს წინათქმით შეუვსია, რომელიც ვთარგმნე და, ზოგიერთ აუცილებელ განმარტებასთან ერთად, „უსამშობლო კაცის“ ცალკე წიგნად გამოცემულ ქართულ თარგმანს ვურთავ.

„უსამშობლო კაცს“ საქართველოში ბევრი დამფუძნებელი და გულშემატკივარი გამოუჩნდა. ცნობილმა მკვლევარმა გია არგანაშვილმა საინტერესო წერილი მიუძღვნა მას („ჩვენი მწერლობა“, 2003, №6). იმხანად განსაკუთრებით ახალგაზრდებმა იაქტიურეს.

მათ მიიღეს და შეიყვარეს ამერიკული მწერლის მოთხოვბა და თავიანთი დამოკიდებულება გმირის უწვეულო თავგადასავლის მიმართ, პროფესორ რუსულან ნიშნიანიძის რეკომენდაციით, მშვენიერ სტუდენტურ წერილებში ასახეს. ამ წერილებს დაინტერესებული მკითხველი უურნალ „ჩვენი მწერლობის“ 2003 წლის ნომრებში გაეცნობა (№50, №51).

„უსამშობლო კაცის“ ამერიკულ უურნალში პირველი გამოჩენიდან 160 წელი გავიდა, ხოლო ქართულ ენაზე ჰეილის ორიგინალური ლიტერატურული ექსპერიმენტის გასაოცარი ნიმუშის თარგმნიდან — ოცი. ოუმც „უსამშობლო კაცს“ იდეურ-ესთეტიკური ხიბლი და აქტუალობა დღემდე არ დაუკარგავს. ამიტომაც გადაწყდა ელუარდ ჰეილის მოთხოვბის, „უსამშობლო კაცის“ ქართულ ენაზე ცალკე წიგნად გამოცემა.

ქეთვან ჭომარაძე



ედუარდ მოერეთ პეილი

(1822-1909)

ედუარდ ევერეტ პეილი — მწერალი, ისტორიკოსი, მღვდელ-მსახური, სენატის კაპელანი 1822 წლის 3 აპრილს ბოსტონში (აშშ, მასაჩუსეტი) დაიბადა. მამამისი, ნათან პეილი ფლობდა და გამოსცემდა გაზეთ „ბოსტონ დეილი ედვერტისერს“. ედუარდ პეილი ორატორისა და სახელმწიფო მოღვაწის, ედუარდ ევერეტის ძმისშვილი და რევოლუციის გმირის, ნათან პეილის ძმის შვილიშვილი იყო.

ბავშვობიდან პეილი ლიტერატურისადმი განსაკუთრებული მიღრეკილებით გამოირჩეოდა. როგორც ვუნდერკინდმა, მან 13 წლის ასაკში დაასრულა ბოსტონის ლათინური სკოლა და სწავლა ჰარვარდის კოლეჯში გააგრძელა; კოლეჯის დასრულების შემდეგ იგი ჰარვარდის სასულიერო სკოლაში სწავლობდა.

სამწერლო ასპარეზზე ედუარდ პეილი 1859 წელს გამოვიდა. 70 წლის განმავლობაში მან გამოაქვევნა: საგაზეთო სტატიები, ისტორიული ნარკევები, მოთხოვნები, რომანები, პამფლეტები, ქადაგებანი. მწერლის შემოქმედების პროფესიონალ შემფასებელთა აზრით, ედუარდ პეილმა საფუძველი ჩაუყარა „რეალისტურ ფანტაზიას“ (Realistic fantasy).

მას ეკუთვნის რომანები: „ოუ, პო, შესაძლოა“ (1868), „აღმოსავლეთი და დასავლეთი“ (1892), „მისი სახელით“ (1873) და სხვა.

პეილის თვითმყოფადობა და ძლიერი წარმოსახვის ნიჭი თვალნათლივ გამომჟღავნდა მის სახელგანთქმულ ნაწარმოებში, რომელიც 1863 წლის ზაფხულში, სამოქალაქო ომის დროს დაწერა და

„უსამშობლო კაცი“ დაარქვა. ეს მოთხოვბა იმავე წლის დეკემბერში პირველად გამოქვეყნდა უურნალ „დე ატლანტიკ მანსლის“ ფურცლებზე, ხოლო 1865 წელს ცალკე წიგნად გამოიცა. „უსამშობლო კაცის“ გაგრძელებაა რომანი: „ფილიპ ნოლანის მეგობრები“. „მე გულდასმით უნდა შემესწავლა, შეერთებული შტატების მიერ ლუიზიანას მოპოვება“ — წერდა წიგნის თაობაზე ჰეილი.


„უსამშობლო კაცის მიხედვით, უოლტერ დემროშმა დაწერა ოპერა, რომელიც 1937 წელს ნიუ იორკში, „მეტროპოლიტენ თეატრას“ სცენაზე დაიდგა.

მწერლის 150 წიგნი და პამფლეტი სხვადასხვა საკითხების მხარდამჭერი ერთგვარი ტრაქტატებია, რომლებიც ზანგების განათლებას, მუშათა საცხოვრებელ პირობებს, მსოფლიო მშვიდობის პრობლემებს მიმოიხილავს.

1903 წელს ედუარდ ჰეილი შეერთებული შტატების სენატის კაპელანად დაინიშნა. ერთხელ მას ჰეილის ტექსტი დაინიშნა: „დოქტორ ჰეილ, თქვენ სენატისთვის ლოცულობთ?“, რაზეც მან უპასუხა: „არა, მე სენატორებს ვუყურებ, ხოლო ვლოცულობ ხალხისათვის“.

1898-1900 წლებში გამოიცა მწერლის თხზულებათა 10 ტომი.

ედუარდ ჰეილი 1909 წელს, როქსბურიში, 87 წლის ასაკში გარდაიცვალა.



Edward E. Hale

ቍዕራት

ჩვენს დღოში, ახალგაზრდა მკითხველი მნელად თუ მიხვდება ანდა წარმოიდგენს საზოგადოებრივ აზრს, შეერთებული შტატების მრავალ რეგიონში სამოქალაქო ომის სხვადასხვა პერიოდებში, 1861-დან 1865 წლამდე რომ გასტანა¹.

1863 წელს საშინელმა უნდობლობამ დაისადგურა და ჩრდილოეთის ზოგიერთ შტატშიც კი ეჭვი გაჩნდა, ნუთუ, უღირდა ჩრდილოეთს ყოველივე ამდენ მსხვერპლად. ოპაიოს შტატის ერთმა თვალსაჩინო მოღვაწემ ეროვნული ხელისუფლების მიმართ ისეთი სიძულვილი გამოამჟღავნა, რომ რეგიონის ნაციონალური არმიის მეთაურმა, გენერალმა ბერნსაიდმა² იგი მეამბოხეებთან, ფრონტის ხაზს მიღმა გაამწესა და დასძინა: უპრიანია, ის მათთან იყოს და არა საკუთარ ქვეყანაშიო. ეს იმ ზაფხულს მოხდა, როცა ეს მოთხოვბა დავწერე, ახლა მკითხველს ხელთ რომ აქვს.

მე ძალზე უბრალო რამ მეწადა, მსურდა მეჩვენებინა, რა არის სამშობლო და რას მოითხოვს ის ჩვენგან. არ მინდოდა, სამოქალაქო

1. ამერიკის სამოქალაქო ომი (1861-1865), ცნობილია როგორც ომი სამხრეთსა და ჩრდილოეთს შორის — ომი ჩრდილოეთის ინდუსტრიულ შტატებსა და სამხრეთის მონათმფლობელურ შტატებს შორის. სამხრეთის თერთმეტი მონათმფლობელური შტატი აშშ-ს გამოეყო და ამერიკის შტატების ჯინუედერაცია ჩამოყალიბდა. ჯეფერსონ დევისის ძეთაურობით ეს შტატები აშშ-ის ფედერალური მთავრობის (იუზინინის) წინააღმდეგ იბრძოდა. ფედერალური მთავრობას მხარს უჭრდა კველა თავისუფალი შტატი და მათი მოსაზღვრე ხეთი მონათმფლობელური შტატი.
 2. ებბროუს ვერტბ ბერნსაიდი (1824-1881) — ამერიკის არმიის ოფიცერი და პოლიტიკური მოღვაწე. სამოქალაქო ომის წარჩინებული გენერალი.

ომთან დაკავშირებულ ნებისმიერ სხვა საკითხზე გადამეტანა ყურადღება. შევეცადე მკითხველში ინტერესი გამეღვიძებინა ჩემი გმირის მიმართ, რომელზეც ცოტაოდენი რამ თუ სმენოდა მას. ჩემს გმირს არ ჰქონდა სამშობლო და, ამასთან, მოკლებული იყო ყველა ადამიანისთვის ხელმისაწვდომს — პირშოობას.

ამ გმირისთვის სახელის მისანიჭებლად და რეალობასთან თუნდაც ოდნავ მიახლოებული გარემოს შესაქმნელად, ამ საუკუნის დასაწყისში, ის არონ ბურის¹ მიერ ჩადენილ, დღემდე ამოუცნობ საქციელთან დავაკავშირე. ჩემი ვარაუდით, იმ ქვეყნის არმიის ოფიცერი იქნებოდა, რომელიც მან უარყო. და ბურისა და მისი წამოწყების თაობაზე მცირეოდენი ისტორიული წიაღსვლებით, დასაწყისშივე რომ იხილავთ, როგორდაც ისტორიულ სინამდვილეს მივყევი. გმირისთვის სამხრეთ-დასავლეთში კარგად ნაცნობი სახელი მჭირდებოდა. გამახსენდა ახალგაზრდა კაცი, სახელად ნოლანი — ჯეიმს უილკინსონის² კორესპონდენტი და მეგობარი, რომელიც შეერთებული შტატების არმიის მთავარსარდალი იყო მაშინ, ბური რომ დააპატიმრეს. წარამს, ჯეიმს უილკინსონმა უღალატა თავის ქვეყანასაც და ბურისაც. ანუ, ვფიქრობ, წაახალისა ბური და აღუთქვა, რომ მის ნებისმიერ გეგმას მიიღებდა. მაგრამ გამოხდა უამი და განუდგა მას, ამასთან, ყველაფერი იღონა ბურის დასაპატიმრებლად.

მაგრამ ამ ყველაფერს საერთო არაფერი აქვს მოთხოობასთან. ჩემი გმირისთვის სახელს ვეძებდი, როდესაც უილკინსონის კორესპონდენტი, ნოლანი გამახსენდა და ვიფიქრე, მისი სახელი და გვარი „სტივენ ნოლანი“ იქნებოდა. ჩემს მოთხოობაში მასზეა ლაპარაკი

-
1. არონ ბური (1756-1836) - პოლიტიკოსი, ამერიკის სამოქალაქო ომის მონაწილე, აშშ-ის მესამე ვიცე-პრეზიდენტი, 1801-1805 წლებში თომას ჯეფერსონის ადმინისტრაციაში მსახურობდა. 1807 წ. აშშ-ს დასავლეთს ქავია, შევცდა არალეგალური ბრძოლა წამოეწყო ესპანერი კოლონიების წინააღმდეგ, მაგრამ ამერიკელმა სამხედროებმა დააპატიმრეს. ნებაყოფლობით გაემგზავრა ვეროპაში, ხოლო აშშ-ში დაბრუნების შემდეგ პრაქტიკოსი ადვოკატის საქმიანობით იყო დაკავებული.
 2. ჯეიმს უილკინსონი (1757-1825) აშშ არმიის გენერალი. ლუიზიანასა და მისურის მხარის პირველი გუბერნატორი. 1781 წელს ესპანელები მეორ მოსყიდული აგენტი. მის საპატიოსაცემოდ, ჯორჯიისა და მისისიპის შტატების რეგიონებს უილკინსონის სახელი ქროდა.

და მკითხველი აღმოაჩენს, რომ ამ წიგნის გმირი სტივენ ნოლანსა და ტეხასში მის სიკვდილთან ასოცირდება. მოთხოვის პირველი გამოქვეყნებიდან კარგა ხნის მერე გავიგე, რომ რეალურად არსებული ნოლანის ნამდვილი სახელი ფილიპი¹ ყოფილა და არა სტივენი. თავგადასავლების მაძიებელი ავანტურისტი ესპანელებმა ტეხასში, ვეიკოუსთან² ახლოს მოკლეს 1801 წელს. შევცდი, მას სტივენი რომ დავარქვი და მისი სახელი ჩემს წარმოსახვაში გაცოცხლებულ გმირს ვუწოდე. ადამიანს, რომელიც თავად შევქმნე.

სამხედრო შეტაკებები ფორტ სამტერთან ბრძოლით, 1861 წლის 12 აპრილს დაიწყო და 1865 წლის 26 მაისს, სამხრეთელთა არმიის ნაწილების კაპიტულაციით დასრულდა. ომის პერიოდში დაახლოებით 2 ათასმდე ბრძოლა გაიმართა. დანაკარგთა საერთო რაოდენობამ, ორივე მხარეს, 600 ათასი შეადგინა მოკლულით და 281.9 ათასი დაჭრილით, რაც აღემატება ყველა სხვა ომს, რომელშიც აშშ-ს მონაწილეობა მიუღია.

გაუფრთხილებლობისა თუ შემთხვევითობის გამო, „ფილიპ ნოლანის“ ჩემთვის ძალზე საინტერესო და ჭერის სასწავლებელი არაერთი მიმოწერა ხელთ ჩამიგარდა. მაქს მისი მინიატურული პორტრეტი, რომელიც იმ ქალბატონისთვის დაიხატა, შემდგომში მისი ცოლი რომ გახდა.

სხვა წიგნში, „ფილიპ ნოლანის მეგობრები“³ რომ ვუწოდე, მისი

1. ფილიპ ნოლანი - იგულისხმება მუსტანგებით მოგაჭრე და თავისუფალი მსროლელი ფილიპ ნოლანი (1771-1801). მან შეისწავლა ესპანური ენა და ჯემს უილკინსონთან საქმის მწარმოებლად მუშაობდა. 1791 წელს მისი გავლენით ისარგებლა და საგაჭრო პასორზე აიღო. შემდგვ მიატოვა მასთან მუშაობა და მისისიპზე, ინდოელ თუმებთან, ესპანურ ტეხასში გაემზაფრა. მისი პასორზე ყალბი აღმოჩნდა, ხოლო მისი საქინელი კონფისაციას დაქვემდებარა.

2. ვეიკოუ – აშშ, ტეხასის შტატი, მაკლენანის რეგიონული ცენტრი, მდებარეობს დალასსა და ოსტინს შორის.

3. „ფილიპ ნოლანის მეგობრები“ - ედუარდ პეილის რომანი, რომელშიც აღწერილია, როგორ შეიცვალა დასავლეთი. წიგნის შესავალში მწერალი დასძენის; „ერთობ დამაფიქრებელია ჩვენი ისტორიკოსების დუმილი ლუზიანას შეერთებულ შტატებთან მიერთების საკითხზე, ანდა მათი გულგრილობა“. ამ რომანში პეილი ისტორიკოსის ფუნქციასაც ითავსებს და ქმნის დოკუმენტურ თხზულებას.



ამერიკის კონფედერაციული შტატები

ტრაგიკული ისტორიის რეალური ამბები აესახე. მაგრამ ჩემ ფილიპ ნოლანთან მისი მსგავსება უბრალო შემთხვევითობას უნდა მიეწეროს. ფილიპ ნოლანი იმ წიგნიდან, ახლა მკითხველს ხელთ რომ აქვს, გამოგონილი პერსონაჟია, რომელიც ერთადერთი მიზნით შეიქმნა — ესწავლებინა ამერიკელი ახალგაზრდებისთვის, რას ნიშნავს სამშობლო, რა მოვალეობა აკისრია თითოეულს სამშობლოს წინაშე და რაოდენ მთავარი და მნიშვნელოვანია ეს მოვალეობა ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაში, სხვა დანარჩენთან შედარებით.

გამიხარდა, მოთხოვთ რომ გამოქვეყნდა და ეს მორალი ღირსეულად შეფასდა. უამრავი წერილი მივიღე სრულიად უცნობი ადამიანებისგან. ჩემთვის ძალზე ძვირფასია ეს წერილები. ისინი ზღვაზე, მოწევილობისას კითხულობდნენ, ანდა სანაპიროზე, ბანაკების კოცონთა ნათებაზე, საფრთხეში რომ იგდებდნენ თავს სამშობლოსათვის, რადგან უფლება ჰქონდათ, მის სამსახურში მდგარიყვნენ. და ამ უფლებას ფუჭად როდი იყენებდნენ...

ხელთა მაქვს „ფილიპ ნოლანის“ ნამსახურების ჩანაწერი - შავკანიანისა ლუზიანადან, რომელსაც ამ ომმა სამშობლო უბობა და, რომელმაც მისთვის ჯეიმს რივერსის¹ სანაპიროზე დაღო თავი. ვიმედოვნებ, ამ „ფილიპ ნოლანის“ სახელი იმავე ფილიპ ნოლანიდან მომდინარეობს, ჩემს გმირს სახელი რომ მიანიჭა. მესიამოვნა, როცა გავიგე, ჩემს ფილიპ ნოლანს, ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხე - კუნჭულში, უამრავი მეგობარი შეუძნია.

და ახლა, როცა ეს წიგნი სასკოლო სახელმძღვანელოდ გამოიცა, მე მას შეერთებული შტატების მოქალაქეებს, ბიჭებსა და გოგონებს იმავე რწმენით ვუძღვნი, რომლითაც ფილიპ ნოლანი იყო აღჭურვილი და მიჩრან ფრედერიკ ინგპერმისადმი რჩევის მიცემისას, თავის მიმართვაში გაამჟღავნა:

„შენი სამშობლოსა და დროშისთვის მმობილო, არასოდეს შეგეპაროს გულში სხვა ოცნება, გარდა ოცნებისა, ისე ემსახურო მას, როგორც შენგან მოითხოვს, თუნდაც ამ სამსახურმა ათასი

1. ჯეიმს რივერსი - ვირჯინიის ყველაზე გრძელი მდინარე - სიგრძე 560 კმ. სათავეს იღებს აპალატებში და ჩესაპიკის ჭურისაკენ მიედინება. ბრიტანელმა კოლონიზატორებმა ეს სახელი მას ინგლისისა და შოტლანდიის მეფის პატივსაცემად უწოდეს.

ჯოჯოხეთი გამოგატაროს. და რაც არ უნდა დაგატყდეს თავს, ვინც არ უნდა გაამოს ან დაგამციროს, არასოდეს შეხედო სხვა დროშას და ერთი ღამეც არ გამოტოვო, რომ ღმერთს ამ დროშის კურთხევა არ შეავედრო. გახსოვდეს, მმობილო, იმ ადამიანთა მიღმა, ცხოვრებაში რომ შეხვდები - ოფიცრების მიღმა, მთავრობის მიღმა და მთელი ხალხის მიღმა, თავად სამშობლოა, შენი სამშობლო. და შენ მისი შვილი ხარ, ისევე როგორც შვილი მშობელი დედისა, და ისევე ეკუთვნი მას, როგორც საკუთარ დედას. და მედგრად დადექი მის დასაცავად, ისევე როგორც დაიცავდი დედაშენს, თუკი მას ეშმაკის კერძნი დაესხმოდნენ თავს!"

ეჭ, ნეტა ეს სიტყვები ვინმეს ჩემთვის მაშინ ეთქვა, თქვენი ხნისა რომ მოვიყარე!

უსამშობლო კაცი

ათასში ერთი მკითხველი თუ მოჰკრავდა თვალს გაზეთ „ნიუ-იორქ პერალდის“ (13 აგვისტო, 1863) კუთხეში მიყუჟულ სამგლოვიარო განცხადებას:

„ნოლანი. აშშ კორვეტ „ლევანტის“ ბორტზე... 11 მაისს გარდა-იცვალა ფილიპ ნოლანი“.

ეს განცხადება შემთხვევით მომხვდა თვალში. ნაპირზე გამორიყული ვძინადრობდი მაკინოუს ძველი მისიის შენობაში; ველოდი გემს, რომელსაც ერქვა „ლეიკ სუპერიორ“ და რომელიც იგვიანებდა. ვიდრე ჯაგარი მომედებოდა პირისახეზე, „პერალდის ფურცლებზე“ ვშთანთქე მთელი საკითხავი, რაც კი ხელთ მომხვდა — სამგლოვიარო და საქორწინო განცხადებების ჩათვლით. სახელები და სახეები კარგად მამახსოვრდება და მკითხველი მიხვდება, თუკი გააკრძებებს კითხვას, რომ ფილიპ ნოლანი უეჭველად უნდა მხსომებოდა.

ათასობით მკითხველი ჩააშტერდებოდა აღნიშნულ განცხადებას, მის ავტორს, „ლევანტის“ ოფიცერს ამგვარად რომ შეედგინა: „11 მაისს გარდაიცვალა უსამშობლო კაცი“.

დიახ, სწორედ „უსამშობლო კაცად“ იყო ცნობილი ეს საბრალო ფილიპ ნოლანი იმ ოფიცერთა შორის, რომელთაც, დაახლოებით ორმოცდაათი წლის განმავლობაში, მასზე ეგალებოდათ მეთვალყურეობა; ასევე იცნობდნენ მას ხელქვეითები ნაოსნობისას.

გავტედავ და ვიტყვი, რომ მრავალთ, ვისაც ნოლანისთვის ჭიქა მიუჭახუნებია, ორ კვირაში ერთხელ მაინც სამწლიანი კრუიზის

დღოს, არასდროს შეუტყვიათ, რომ იგი იყო გვარად ნოლანი და ანდა, საერთოდ, ჰქონდა თუ არა გვარი ბედკრულს.

ამჟამად აღარაფერი დაშავდება, თუკი გავიხსენებთ ამ საბრალო კაცის თავგადასავალს. დღემდე არ შეიძლებოდა — დაწყებული იმ დღოიდან, მედისონის პრეზიდენტობა რომ გასრულდა 1817 წელს; ამ ამბის საიდუმლოს მკაცრად შენახვა დირსების საქმედ ითვლებოდა სამხედრო-საზღვაო ფლოტის ოფიცერთა შორის, რომელთაც თანმიმდევრობით ევალებოდათ ნოლანზე მეთვალყურეობა.

ამ კაცის თავგადასავალი სავსებით უცნობი რომ დარჩა პრესის-თვის და, ვგონებ, მთელი ქვეყნისთვისაც — უთუოდ მეტყველებს მეზღვაურთა კასტურ სულისკვეთებასა და პირადი ღირსების გრძნობაზე.

სამშენებლო ბიუროში სამუშაოდ რომ მიმამაგრეს, სამხედრო-საზღვაო არქივებში ვიქექებოდი და ვასკვნი, რომ ყოველი ოფიციალური პატაკი, რომელიც ნოლანს ეხებოდა, ალბათ, 1814 წელს დაიწვა, როდესაც ინგლისელმა გენერალმა როსმა, ვაშინგტონში, მთავრობის დაწესებულებანი ცეცხლს მისცა. ინგლისთან ომი რომ მთავრდებოდა, ერთ-ერთს ტაკერთაგან, ან შესაძლოა უოტსონთაგან, ნოლანის მეთვალყურეობა დაევალა და თავისი კრუიზიდან დაბრუნებისას, პატაკი ჩააბარა ვაშინგტონში ერთ-ერთს კრაუნინგილდთაგან, რომელიც შინ დაბრუნებისას სამხედრო-საზღვაო სამინისტროში მოკალათებულიყო. მან აღმოაჩინა, რომ დეპარტამენტი მთელი ამ საქმის იგნორირებას ახდენდა.

მაგრამ იქ ძალზე იუცხოვეს ნოლანის მთელი საქმე. წარმოდგენა არა მაქვს, მართლა არაფერი იცოდნენ ამ საქმის თაობაზე თუ ეს იყო პოლიტიკურ პროგრამად ჩამოყალიბებული „non mi ricordo“ („მე არ მახსოვს“). მაგრამ, ის კი ნამდვილად ვიცი, რომ 1817 წლიდან, და შესაძლოა ცოტა აღრიდანაც, არც ერთ სამხედრო — საზღვაო ოფიცერს არ მოუხსენებია ნოლანი თავის პატაკში განვლილი კრუიზის შესახებ.

მაგრამ, ვიმეორებ, უკვე აღარ არის აუცილებელი საიდუმლოების შენახვა და ახლა, როდესაც ის საცოდავი მკვდარია, ეგებ დირდეს მოგითხროთ მისი თავგადასავალი, რათა ჩვენი დროის ახალგაზრდა ამერიკელებს ვუჩვენო, რას ნიშნავს „უსამშობლო კაცად“ ყოფნა.

ფილიპ ნოლანი გახლდათ უებრო ახალგაზრდა ოფიცერი, რომელიც მსახურობდა დასავლეთ ლეგიონში, როგორც მაშინ ეძახდნენ ჩვენი არმიის დასავლეთ დივიზიას. აარონ ბურმა თავისი პირველი გაბედული ექსპედიცია რომ განახორციელა 1805 წელს ნიუ-ორლეანისკენ, ფორტ მასაკში, თუ სადღაც სხვაგან, მდინარის ზემო დინებაში, ავსულივით გადაეყარა ამ მხიარულ, მამაცსა და გონიერამახვილ ახალგაზრდას; ეს, ვგონებ, რომელიდაც წვეულებაზე მოხდა.

ბურმა გამოარჩია ნოლანი, გამოელაპარაკა, ერთად გაისეირნეს. მერე თავის ბრტყელძირა ნავით ერთი ორი დღე მდინარეზე გაატარეს. ერთი სიტყვით, მოაჯადოვა ახალგაზრდა კაცი... მომდევნო წელს კი, საბრალო ნოლანისთვის ერთობ მოსაწყენი გახდა ყაზარმული ცხოვრება.

დროდადრო იგი დიდი ადამიანის ნებართვით სარგებლობდა - წერილი მიეწერა მისთვის. ვრცელ, მაღალფარდოვან და შთაგონებულ წერილებს თხზავდა. საბრალო ჯელი მერე გადაწერდა ხოლმე და ასლსაც ამზადებდა. მაგრამ არასდროს ერთი სტრიქონიც კი არ მიუღია პასუხად იმ ბრწყინვალე არამზადისგან.

გარნიზონის ოფიცრები დასცინოდნენ ნოლანს, რადგან იგი იკლებდა გართობას, სხვები სროლასა თუ ნიჩბოსნობაში რომ პოულობდნენ. ნოლანი კი უდრტვინველად განაგრძობდა ჯაფას თავის დიდი მეგობრისთვის ამ ვრცელი წერილების შესადგენად.

მის კოლეგებს ვერ გაეგოთ, რატომ ჩაიკეტებოდა ხოლმე ნოლანი, როცა ისინი დროს სხვადასხვა აზარტული თამაშებით ატარებდნენ. პოკერი ჯერ არ იყო გამოგონილი.

მაგრამ მალე ყმაწვილკაცმა რევანში აიღო. ერთ მშვენიერ დღეს,

მისი აღმატებულება, ფრიად პატივცემული არონ ბური კვლავ გამოჩნდა ასპარეზზე, ოღონდ სულ სხვაგვარი იქრით. მითქმა-მოთქმის თანახმად, მას ზურგს უმაგრებდა არმია და წინ ელოდა დიდი ძალაუფლება.

ბურს ოცი წუთიც არ ულაპარაკია მეთაურთან, რომ მაშინვე სთხოვა, ეხმოთ ლეიტენანტტი ნოლანი. ხანმოკლე საუბრის შემდეგ მდინარის მონახულება შესთავაზა. ნავით გავისეირნოთ, ლელიანი და ბამბის ხეები შევათვალიეროთო. სინამდვილეში — ნოლანის ცდუნება ეწადა. და როდესაც სეირნობიდან დაბრუნდნენ, ნოლანი სულით ხორცამდე ბურის კერძი იყო. სწორედ ამ დროიდან, თუმცა თავად აზრზეც არ იყო, ცხოვრება დაიწყო როგორც უსამშობლო კაცმა.

ძვირფასო მკითხველო, თქვენზე მეტი არაფერი ვიცი იმის შესახებ, რა ჩანაფიქრი პქონდა ბურს, ახლა რომ ხსენებადაც არ ლირს. მაშინ კი, როდესაც დიდი კატასტროფა მოახლოვდა და პრეზიდენტმა ჯეფერსონმა, თავის ვირჯინიელებთან ერთად წამოიწყო ჯვარცმა ყველა შესაძლო კლარენსისა, აწინდელი იორკის საგვარეულოდან, რიჩმონდში სახელმწიფო დალატში ბრალდებულთა დიდი სასამართლო პროცესი გაიმართა. ხოლო შორეული მისისიპის ველზე, რომელიც უფრო შორს იყო ჩვენგან, ვიდრე დღეს პიუჯეტ-სანუდა, წვრილფეხობამ სპექტაკლი თავის პროვინციულ სცენაზე გაიმეორა.

ფორტ ადამსში, ზაფხულის ერთფეროვნების დასარღვევად, ოფიცრები — რამდენიმე პოლკოვნიკი და ერთი მაიორი, სამხედრო ტრიბუნალს გადასცეს. და სიის სრულყოფისთვის, მათ ლეიტენანტი ნოლანიც მიაყოლეს. მის წინააღმდეგ კი, ღმერთმანი, საკმარისად მოიპოვებოდა სამხილები — სამსახური მობზრებული პქონდა, შზად იყო დალატისთვის და დაემორჩილებოდა ყოველ ბრძანებას წასულიყო იქით, საითაც ეტყოდნენ და, წაეკვანა ისინიც, ვინც „მისი აღმატებულების, ა.ბურის მეთაურობით“ გაპყვებოდა.

სასამართლო პროცესი გაჭიანურდა. ღლავები გაუსხლტნენ მსჯავრს — რამდენადაც ვიცი, სამართლიანად. ხოლო ნოლანის დანაშაული სასჯელისთვის საქმარისად მიიჩნიეს. მაგრამ ვერც თქვენ, ძვირფასო მყითხველო, და ვერც მე ვერასდროს გავიგებდით მის სახელს, სასამართლოს თავმჯდომარეს, ხელომის დასასრულს რომ არ ეყითხა მისთვის, ხომ არა გსურთ რაიმე თქვათ იმის დასამტკიცებლად, რომ ყოველთვის შეერთებული შტატების ერთგული იყავით.

და უეცრად ნოლანმა გააფირებით იყვირა: „ეშმაკმა დალახვროს თქვენი შეერთებული შტატები! ღმერთო ჩემო, მსურს, აღარასდროს გავიგონო შეერთებული შტატების სახელი!“

ვგონებ, მან არ იცოდა, როგორ შეაძრწუნებდა მისი ნათქვამი ხანდაზმულ პოლკოვნიკ მორგანს, რომელიც სასამართლოს თაგმა-ჯდომარეობდა. ისიც სათქმელია, რომ სასამართლოს წევრ ოფიცერთა ნახევარი რევოლუციას ემსახურებოდა, საფრთხეში იგდებდა სიცოცხლეს და თავსაც სწირავდა სწორედ იმ იდეისათვის, გამძვინვარებულმა ნოლანმა ასე უტიფრად რომ შეაჩვენა.

ნოლანი, თავის მხრივ, იმდონინდელ დასავლეთ მხარეში იზრდებოდა, „ესპანური შეთქმულების“, „ორლეანის შეთქმულების“ და კიდევ სხვა შეთქმულებათა წიაღში.

განათლება პლანტაციაში მიიღო, სადაც ესპანელი ოფიცერი ანდა ფრანგი ვაჭარი ორლეანიდან მაღალ საზოგადოებას წარმოადგენდნენ. მისი განათლება, ასე თუ ისე, ვერა კრუსის საგაჭრო ექსპედიციებში სრულყოფილ იქნა. თავად ნოლანისგან ვიცი, რომ კერძო რეპეტიტორად მამამისმა ინგლისელი კაცი დაიქირავა და მან პლანტაციაში ერთი ზამთარი დაჰყო. ნოლანმა ნახევარი სიჭაბუკე ტეხასში, უფროს ძმას-თან ერთად, ველურ ცხენებზე ნადირობაში გაატარა.

ერთი სიტყვით, ნოლანისთვის შეერთებული შტატები ძნელად წარმოსაღენი რეალობა იყო. მაგრამ სწორედ შეერთებული შტატები აჭმევდა მას პურს არმიაში სამსახურისას. სწორედ შეერთებულ შტატებს შეპფიცა ერთგულება, როგორც ქრისტიანმა. სწორედ შეერთებულმა შტატებმა უბოძა მას ოფიცრის მუნდირი და ხმალი.

ეპ, ჩემო საბრალო ნოლან, შეერთებულ შტატებს რომ არ შეემოსე ღირსებით და შენთვის ნდობა არ გამოეცხადებინა, ეს მეამბოხე არონ ბური ძაღლადაც არ ჩაგავდებდა, ისევე როგორც იმ მენავეებს, მას რომ ემსახურებოდნენ.

მე არ ვამართლებ ნოლანს; მხოლოდ მინდა განვუმარტო მყითხველს, თუ რატომ დასწუყევლა მან თავისი სამშობლო და რატომ მოითხოვა, არასდროს გამაგონოთ მისი სახელიო.

აღარასდროს გაუგონია ერთი შემთხვევის გარდა. ამ დროიდან, ე.ი 1807 წლის 23 სექტემბრიდან, ვიღრე 1863 წლის 11 მაისამდე, როდესაც სული უფალს მიაბარა, მას აღარასდროს გაუგონია მისი სახელი. ნახევარ საუკუნეზე მეტხანს, ნოლანი უსამშობლო კაცი იყო.

პოლკოვნიკი მორგანი, როგორც მოგახსენეთ, სასტიკად შეძრ-წუნდა. ნოლანს ჯორჯ ვაშინგტონი მოღალატე გენერალ ბენე-ლიქტ არნოლდისათვის რომ შეედარებინა, ანდა ეყვირა: „დმერთო, ჰფარვიდე ინგლისის მეფეს“, მორგანი ამას უფრო იოლად გადაიტანდა. მან დაუყოვნებლივ გაიწვია მოსამართლენი თავის კაბინეტში და თხუტმეტი წუთის შემდეგ დაბრუნდა. სახეზე მიტკლის ფერი ედო. აი, რა წარმოთქვა:

„პატიმარო, ისმინეთ სასამართლოს განაჩენი! სასამართლომ გადაწყვიტა, თუკი პრეზიდენტი დასტურს მოგვცემს, აღარასდროს გაიგონოთ სახელი შეერთებული შტატებისა.“

ნოლანს სიცილი აუტყდა, მაგრამ სხვას არავის გაუცინია. პოლკოვნიკ მორგანს ძალზე სერიოზული გამომეტყველება ჰქონდა და წუთით დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ნოლანმაც კი მყისვე დაკარგა თავისი კადნიერება და შეცბუნებული გაირინდა.

მერე მორგანმა დასძინა:

„ბატონო აღმასრულებელო, წაიყვანეთ პატიმარი ორლეანში სამხედრო ნავით და იქ სამხედრო-საზღვაო მეთაურს ჩააბარეთ“. აღმასრულებელმა განკარგულება გასცა და პატიმარი დარბაზიდან გაიყვანეს. „ბატონო აღმასრულებელო“, განაგრძო პოლკოვნიკმა

მორგანმა, „თვალყური გეჭიროთ, რომ პატიმარს არავინ უხსენოს შეერთებული შტატები. ბატონო აღმასრულებელო, ორლეანში მომიკითხეთ ლეიტენანტი მიტჩელი და სთხოვეთ, ბრძანება გასცეს, რომ გეზე ყოფნისას პატიმარს არავინ უხსენოს შეერთებული შტატები. ამ საღამოს თქვენ მიიღებთ წერილობით ბრძანებებს მორიგე ოფიცირისაგა.. სასამართლოს სხდომები გადადებულია გაურკვევებლი ვადით“.

პოლკოვნიკი მორგანი, ვგონებ, თავად ჩავიდა უაშინგტონში და სასამართლოს გადაწყვეტილება პირადად მოახსენა მისტერ ჯე-ფერსონს. უეჭველია, პრეზიდენტმა მოიწონა ეს განაჩენი, თუკი ვენდობით იმ ადამიანებს, რომლებსაც თავისი თვალით უნახავთ მისი ხელმოწერა. ამრიგად, ვიდრე „ნაუტილუსი“, სადაც პატიმარი გაამწესეს, ნიუ-ორლეანიდან ჩრდილოეთ ატლანტიკის სანაპიროს მიაღწევდა, განაჩენი დამტკიცებული იყო და ნოლანი „უსამშობლო კაცად“ გადაიქცა.

გეგმა, თავდაპირველად რომ შეადგინეს, არსებითად, შემდგომშიც იგივე რჩებოდა. შესაძლოა, ეს გამოიწვია აუცილებლობამ, პატიმარი ზღვით გაეგზავნათ ორლეანიდან. სამხედრო -საზღვაო მინისტრს — ეს უნდა იყოს პირველი კრაუნინშილდთაგან, თუმცა იგი მე არ მახსოვეს, დაავალეს, რომ ნოლანი სამხედრო გემზე მოეთავსებინათ, რომელსაც სანგრძლივი კრუიზი ჰქონდა და ბრძანება გაეცა ისე შეეზღუდათ პატიმარი, რომ მას არასოდეს ენახა თავისი სამშობლო და მისი სახელი აღარასდროს გაეგონა. იმხანად სამხედრო გემები ნაკლებად დადიოდნენ ხანგრძლივი კრუიზებით და სამხედრო-საზღვაო ფლოტს ძალიანაც არ ანებივრებდნენ.

რადგანაც მოელი ეს ამბავი თითქმის თქმულებად გადაქცეულა, როგორც ვთქვი, ზუსტად არ ვიცი, რომელი იყო ნოლანის პირველი კრუიზი. მაგრამ მეთაურმა, ვისაც იგი მიანდეს — შესაძლოა, ეს გახლდათ ტინჯი ანდა შოუ, თუმც ვფიქრობ, ვინმე უფრო ახალ-გაზრდათაგან იქნებოდა, ჩვენ ახლა საკმაოდ ხნიერნი ვართ, —

ეტიკეტი და გამაფრთხილებელი ზომები მოაწესრიგა. და მისი გეგმა, ალბათ, ნოლანის სიკვდილამდე სრულდებოდა.

დაახლოებით ოცდაათი წლის შემდეგ, როდესაც “ინტრეპიდზე” გემის კაპიტნის თანაშემწედ ვმსახურობდი, ინსტრუქციათა თავდაპირველი ნუსხა ვნახე. დღემდე ვწუხვარ, რომ მისი ასლი არ გადმომიდია.

ასე თუ ისე, იგი ამგვარად გამოიყურებოდა:

ვაშინგტონი (თარიღი, რომელიც 1807 წლის მიწურული უნდა იყოს) შეერთებული შტატების არმიის ყოფილ ლეიტენანტს:

„სერ, ლეიტენანტ ნილისაგან თქვენ ჩაიბარებთ ტუსაღ ფილიან ნოლანს, შეერთებული შტატების ყოფილ ლეიტენანტს. ამ პერსონამ თავის პროცესზე, სამხედრო სასამართლოში, წყევლა-კრულვით გამოთქვა სურვილი, აღარასოდეს გამაგონოთ შეერთებული შტატების სახელიო. სასამართლომ მას ამ სურვილის დაკმაყოფილება მიუსაჯა. ამჟამად პრეზიდენტმა ბრძანების შესრულება სამხედრო-საზღვაო სამინისტროს მიანდო. თქვენ აიყვანთ ტუსაღს თქვენს გემზე და ყველანაირ ზომებს მიიღებთ, რათა თავიდან აიცდინოთ მისი გაქცევა.

თქვენ მას იმგვარი საცხოვრისით, რაციონითა და სამოსელით უზრუნველყოფთ, მისი რანგის ოფიცერს რომ შეეფერება — თითქოს იგი თქვენს გემზე იმყოფებოდეს მგზავრად, რომელიც თავისი მთავრობის გარკვეულ დავალებას ასრულებს.

გემის ოფიცრები შეთანხმდებან ტუსაღთან მათვის შესატყვისი ურთიერთობის თაობაზე. არ უნდა მიაყენონ რაიმე დამცირება და არც ის არის აუცილებელი, ტუსაღი ხარო, შეახსენონ ხოლმე. მაგრამ მან, არავითარ შემთხვევაში, აღარასდროს უნდა გაიგონოს თავისი სამშობლოს სახელი ან წაიკითხოს ცნობები სამშობლოს შესახებ. და თქვენ საგანგებოდ უნდა გააფრთხილოთ გემის ყველა ოფიცერი, რათა იზრუნონ, რომ ეს წესი, რასაც მისი სასჯელი ითვალისწინებს, სხვადასხვა შეღავათების გაწევისას არ დაირღვეს.

მთავრობის მიზანი ისაა, რომ ტუსაღმა ვეღარასოდეს ნახოს თავისი სამშობლო, რომელსაც განუდგა. თქვენი კრუიზის დასასრულს, თვენ მიიღებთ ბრძანებებს, რაც ამ განზრახვის გაგრძელებას უზრუნველყოფს.

**პატივისცემით — თქვენი უ. საუდჰარდი,
სამხედრო-საზღვაო მინისტრის მაგიერ“**

მთლიანად რომ შემენახა ეს დოკუმენტი, აღარ გაჩნდებოდა ხარგებზი ჩემი მონათხრობის დასაწყისშივე. კაპიტნმა შოუმ, თუკი ეს მართლაც შოუ იყო, დოკუმენტი თავის მემკვიდრე-მეთვალყურეს გადასცა, იმანაც — თავის მემკვიდრეს და, ვგონებ, „ლევანტის“ კაპიტანს დღესაც უქნებოდა იგი როგორც რწმუნებულება, ნოლანი არცოუ მკაცრ პატიმრობაში ჰყოლოდა.

იმ გემებზე, სადაც „უსამშობლო კაცს“ შევხვედრივარ, თავიდანვე მიღებული წესი, მგონი მემკვიდრეობით გადადიოდა. არცერთ კაიუტ — კომპანიას არ ეხალისებოდა მისი სტუმრობა, რადგან იძულებულნი იყვნენ კრინტი არ დაეძრათ სამშობლოზე ანდა შინ დაბრუნების პერსექტივაზე, პოლიტიკასა და ლიტერატურაზე, მშვიდობასა თუ ომზე — ერთი სიტყვით, ეკრძალებოდათ ლამის ყველაფერი, რაზეც შორეულ ნაოსნობაში საუბრობენ ხოლმე. მაგრამ ძალზე ულმოკელი იქნებოდა, მხოლოდ სალმით დავჭარაყოფილებულიყავით და საბოლოოდ ყველანი ერთ ქვაბში ვიხარშებოდით. ნოლანს ნება არ ჰქონდა, მატროსებს ოფიცრის დაუსწრებლად გამოლაპარაკებოდა. ხოლო ოფიცრებთან ნებადართული ჰქონდა, თუკი ისინი ინებებდნენ, და როგორც ინებებდნენ. მაგრამ ნოლანი მორცხვობდა, თუმცა ზოგიერთს საქმაოდ დაუახლოვდა და ერთ-ერთი მათგანი მე გახლდით.

გემის კაპიტანი, ორშაბათობით, ყოველთვის სადილად ეპატი-ჟებოდა. ყოველი კაიუტ-კომპანია, თავის მხრივ, მორიგეობით იწვევდა ხოლმე. ოფიცერთა კაიუტ-კომპანიაში სტუმრობა, ხშირად თუ იშვიათად — გემის სიღიდის შესაბამისად უწევდა. საუზმეს იგი

თავის კაიუტაში მიირთმევდა, რომელსაც ყოველთვის გამოუყოფნენ. კაიუტის კარს ფხიზლად ადევნებდა თვალს გუშაგი ანდა რომელიმე მორიგე. მარტოდმარტო უწევდა დანაყრება. ხანდახან, როდესაც საზღვაო ქვეითები თუ მატროსები აწყობდნენ საზეიმო წვეულებას, მათ ნებას აძლევდნენ „სამოქალაქო ფოლაქები“ დაეპატიუათ, როგორც ისინი ნოლანს ეძახდნენ. ოღონდ, ოფიცრის თანხლებით უნდა მისულიყო. მასპინძლებს, ცხადია, ეკრძალებოდათ სამშობლოზე ხმის ამოღება და ერთი სული ჰქონდათ, როდის გაისტუმრებდნენ უსამშობლო კაცს.

ჩემი აზრით, ყოველივე მიზნად ისახავდა, ნოლანის სასჯელი ყველასთვის ჭკეუის სასწავლებელი ყოფილიყო. მატროსებმა იმიტომ შეარქეს „სამოქალაქო ფოლაქები“, რომ მართალია მას წესდებით დადგენილი სამხედრო მუნდირი ეცვა, მაგრამ ნებას არ აძლევდნენ ეტარებინა სამხედრო ფოლაქები, სადაც აღბეჭდილი იქნებოდა ინიციალები ან ემბლემა სამშობლოსი, რომელსაც განუდგა.

მაგონდება, ღრო იყო გასული ფლოტში ჩემი ჩარიცხვიდან, როდესაც ნაპირზე, ჩვენი გემისა და „ბრენდიუანის“ რამდენიმე უფროს ოფიცერთან ერთად ვიმყოფებოდი. ნება დაგვროეს, კაიროსა და პირამიდებისაკენ გაგვესირნა. ვირებით მივჩაქჩაქებდით. სიტყვა ნოლანზე ჩამოვარდა და ერთმა ოფიცერმა ის სისტემა გაგვაცნო, თავიდანვე რომ იყო მიღებული მისი წიგნებისა და სხვა საკითხავის თაობაზე. ნოლანს ხომ თითქმის არასდროს აძლევდნენ ნაპირზე გადასვლის ნებას, თუნდაც გემი თვეობით დაყოვნებულიყო ნაესადგურში. ასე რომ, მისთვის ღრო ძალზე მოსაწყინად მიედინებოდა. ამიტომაც ყველას შეეძლო ეთხოვებინა წიგნები, თუკი ისინი გამოქვეყნებული არ იყო ამერიკაში ანდა ამერიკა არ იქნებოდა იქ ნახსენები. ამ პირობის შესრულება საკმაოდ იოლდებოდა მაშინ, ვინაიდან დედამიწის აღმოსავლეთ ნახევარსფეროში ამერიკაზე ნაკლებად საუბრობდნენ. ნოლანი ნახულობდა თითქმის ყველა უცხოურ გაზეთს, რომელიც, აღრე თუ გვიან, გემამდე აღწევდა. ოღონდ ჯერ

ვინმეს უნდა გადაეკითხა, ამოეჭრა ყოველი განცხადება ან გზააბნეული შენიშვნა, სადაც ახსენებდნენ ამერიკას. ზოგჯერაც, ცოტა არ იყოს, ეს სისასტიკეს წააგავდა, რადგან ამოჭრილი მეორე მხარე შეიძლება ჰქონდესავით უცოდველი ყოფილიყო.

აი, ასე შევიტყვე იმ გეგმის შესახებ, რომელიც შემდგომში მეც ზედმიწევნით ბეჭითად უნდა შემესრულებინა. ეს კარგად მახსოვს, რადგან ფილიპსმა, როგორც კი სიტყვა ნოლანის საკითხავზე ჩამოვარდა, გვიამბო, რა შეემთხვათ კეთილი იმედის კონცხთან, ნოლანის პირველი მოგზაურობისას. ამ მოგზაურობაზე სხვა არაფერი მსმენია.

ისინი კონცხს მიუახლოვდნენ და შეეკინდნენ, რათა სტუმრად სწევეოდნენ ინგლისელ ადმირალს. შემდეგ ინდოეთის ოკეანეში ხანგრძლივი კრუიზი ელოდათ. ფილიპსმა იქაური ოფიცრისგან ბლომად წიგნები ითხოვა, რაც იმხანად, ისევე როგორც ახლა, დიდ იღბლად ჩაითვლებოდა. ამ წიგნებს შორის, თითქოს ეშმას განკარგულებით, „უკანასკნელი მენესტრელის ბალადა“ აღმოჩნდა, რომელიც გაგონილი კი ყველას ჰქონდა, მაგრამ თვალით არასოდეს ენახათ. ეტყობა, ახლად იყო გამოქვეყნებული. პეტილი და პატიოსანი, მაგრამ არავის აზრად არ მოსვლია, ნოლანისათვის იქ საფრთხე რამ ხომ არ მოიპოვებოდა. თუმცა ფილიპსი იფიცებოდა, ჯიგარმა შოუმ, ვიდრე ნოლანს გადასცემდა, შექსპირიდან ამოჭრა „ქარიშხალი“, რადგან „ბერმუდის კუნძულები ჩვენი უნდა იყოს და, ღვთის წყალობით, კიდევაც გახდებაო.“

ჰოდა, ერთ შუადღეს, ბიჭებმა ნოლანი შინაურულად მიიპატიუეს, — შემოგვიერთდიო. გემბაზზე ჩამოსხდარიყვნენ, თამბაქოს ეწეოდნენ და მორიგეობით წიგნს ხმამაღლა კითხულობდნენ. ამჟამად ასეთ სურათს იშვიათად წააწყდებით, მაგრამ ჩემს ახალგაზრდობაში, ძალზე ხშირად, ასე ვატარებდით დროს.

კეთილი. ამასობაში ნოლანის ჯერიც დადგა, წიგნი ხელში აიღო და კითხვას შეუდგა. როგორც მიამბეს, ძალიან კარგად კითხულობდა. იქ მყოფთაგან, მანამდე პოემის ერთი სტრიქონიც კი არავის წაეკითხა.

მხოლოდ ის იცოდნენ, რომ ჯადოქრობასა და რაინდებზე იყო და ყველაფერი ლამის ათი ათასი წლის წინათ ხდებოდა.

საბრალო ნოლანმა შეუფერხებლად წაიკითხა მეხუთე სიმღერა, წუთით შეჩერდა, ცოტა გადაკრა კიდეც და განაგრძო. აზრზე არ იყო, წინ რა ელოდა.

„გით ცოცხლობს კაცი, მკვდარი სულითა,
რომ ვერასოდეს წამოიძახებს...“

დღეს შეუძლებლად გვეჩენება, ვინმეს წაკითხული არ ჰქონდეს ეს სტრიქონები; მაგრამ რას იზამ, ამ ბიჭებს მართლა პირველად ესმოდათ ეს და საბრალო ნოლანმაც განაგრძო ჯერ კიდევ გაუაზრებლად და მექანიკურად:

„ეს არის ჩემი მშობელი მიწა!“ და უკავ შევლა მიხვდა, რომ საქმე რიგზე ვერ იყო. მაგრამ ნოლანს იმედი გაუჩნდა, დაბრკოლებას სწრაფად გადავლახავო. ოქვენც არ მომიკვდეთ. ვგონებ, ოდნავ გაფი- თრდა და თითქოს მორევში გადაეშვაო, ამოიგმინა:

„და ვისი გულიც არ აენთება,
როცა სამშობლო მის ნაბიჯს იცნობს
უცხოეთიდან მობრუნებისას.
ნუთუ არსებობს ასეთი ვინმე?“

აქ კი ყველას თავგზა აებნა. ეწადათ, რამენაირად იძულებული გამხდარიყო, ორიოდ გვერდი გადაეფურცლა, მაგრამ საამისოდ ნოლანს მხნეობა არ ეყო. ერთხანს დუმდა, პირისახე წამოუჭარხლდა და ბორძიკით განაგრძო:

„მგოსანი მისთვის არ ამღერდება,
ვინც უნდა იყოს -
სახელიანი სიმღიდრითა თუ ძალმოსილებით,
ბედკრული არის და გულჩაკლული.“

საბრალო ჯეელს სუნთქვა შეეკრა, აღარ ძალუძღა კითხვის გაგრძელება. ზეზე წამოიჭრა და წიგნი ზღვაში მოისროლა. მერე კი თავის კაიუტაში გაუჩინარდა.

„იუპიტერს ვფიცავ“, თქვა ფილიპსმა, „ორი თვე თვალი აღარ მოგვიკრავს. მე კი, სხვა რა გზა მქონდა, რაღაც უბადრუკი ზღაპარი შევთხზე იმ ინგლისელი ქირურგისათვის, უოლტერ სკოტი რატომაც ვერ დაგიბრუნებ-მეთქი.“

ეს დაახლოებით იმ დროს მოხდა, როცა ნოლანის სიმტკიცეს უკვე ძხარი გასჩენოდა. როგორც ამბობენ, თავდაპირველად არაფერს უკუებოდა, თავისი პატიმრობა უბრალო ფარსად მიაჩნდა. ტკბებოდა ზღვაზე მოგზაურობით და ა. შ. მაგრამ ფილიპსის სიტყვით, უოლტერ სკოტის შემდეგ ბარე ორი თვე რომ გავიდა და კაიუტიდან გამოსული ვნახეთ, წინანდელ ნოლანს ერთ ბეწოზეც აღარ ჰგავდაო. წიგნი ხმამაღლა აღარასოდეს წაუკითხავს, თუკი ეს ბიბლია ანდა შექსპირი, ან კიდევ სხვა რამ არ იქნებოდა — ასევე ეჭვმიუტანელი და უსაფრთხო.

მაგრამ მარტოდენ ეს არ იკმარა. არასოდეს აღარ დაამხანაგებია ახალგაზრდებს. როდესაც გავიცანი, მუდამ მორცხვად იქცეოდა. ძალზე იშვიათად ლაპარაკობდა. თუკი არ გაესაუბრებოდი, ხმასაც არ ამოიღებდა. ერთი-ორი კაცის გამოკლებით არავის ეკარებოდა. ხანდახან თუ აენთებოდა ხოლმე. მახსენდება, ერთობ გვიან გავიგონე მისი ხმა — საკმაო მჭერმეტყველებით ამტკიცებდა ფლეშის ქადაგებებთან დაკავშირებით. საერთოდ კი შიგ გულში დაჭრილი კაცის ნერვიული და არაქათგამოცლილი გამოხედვა ჰქონდა. როდესაც კაპიტანი შოუ ბრუნდებოდა — ვიმეორებ, თუკი ეს იყო შოუ — ცველასთვის მოულებნელად, უინდვორდის კუნძულთან ღუზა ჩაუშვეს და დაახლოებით ერთი კვირა დაყოვნდნენ. ბიჭები ამბობდნენ, ოფიცირებს ყელში ამოუვიდათ დამარილებული ხორცი — ვიდრე შინ დავბრუნდებით, კუს სუფი მაინც ვიგემოთ.

რამდენიმე დღის შემდეგ კუნძულს „უორენი“ მოადგა. გემები სიგნალით ერთიმეორეს მიესალმნენ. „უორენიდან“ ფილიპსსა და სხვა შინ მიმავალთ გადასცეს წერილები და გაზეთები. აცნობეს, შორეულ კრუიზში მივემართებით, შესაძლოა, ხმელთაშუა ზღვაშიო.

და საბრალო ნოლანი კი, თავისი ბარგი-ბარხანით, გემზე აიყვანეს. იგი ერთობ გაოგნებული ჩანდა, როდესაც უთხრეს, გაემზადეო. საკმარისად ერკვეოდა ვარსკვლავებში, რომ მიმხვდარიყო, სწორედ ამ წუთამდე იგი „შინისაკენ“ მიემგზავრებოდა. მაგრამ ახლა აშკარა შეიქნა ის, რაც მანამდე ეგებ არც უფიქრია — რომ მისთვის გამორიცხული იყო „შინ წასვლა“, ციხესაც კი არ აღირსებდნენ. და ეს გახლდათ პირველი იმ ოცი გადაადგილებიდან, რომელიც შემდგომში უწევდა. მან მოიარა ჩვენი ფლოტის საუკეთესო გემების ნახევარი, მაგრამ რამდენიმე ასეულ მილზე არ მისდგომია იმ ქვეყნის მიწას, რომელზეც თქვა, მაგის სახელს ნუდარ გამაგონებოთ. შესაძლოა, ეს მოხდა ამ მეორე კრუიზის დროს, როდესაც ხმელთაშუა ზღვაში იმყოფებოდნენ, და მისის გრეფი, სამხრეთ შტატების იმდროინდელი მშვენება და სიამაყე, ეცეკვა ნოლანს.

გემი დიდხანს იდგა რეიდზე ნეაპოლის ყურეში და ჩვენი ოფიცირები ფრიად გაუშინაურდნენ ინგლისის ფლოტს. ზეიმებსა და გართობებს ბოლო არ უჩანდა და ჩვენებმაც დიდი მეჯლისის გამართვა განიზრახეს. როგორ მოახერხეს ეს „უორენზე“, ვერაფრით გამიგია. ვინ იცის, ეგებ ეს არ იყო „უორენი“ ანდა შესაძლოა, ქალბატონები მაშინ არ იყავებდნენ იმდენ ადგილს, რამდენსაც დღეს. ოფიცირებმა, რაღაც მიზნით, ნოლანის კაიუტის გამოყენება განიზრახეს და ეუხერხულათ, მეჯლისზე რომ არ მიეწვიათ. კაპიტანმა ნება დართო, თუკი პასუხს აგებდნენ იმაზე, რომ ნოლანი ხმას არავის გასცემდა, ვინც, სავარაუდოდ, „ინფორმაციას მიაწვდიდა“.

გაჩაღდა მეჯლისი. გავბედავ და ვიტყვი, რომ ეს იყო უშვენიერესი საღამო, რომელიც კი ოდესმე გამართულა და არასოდეს მსმენია მსგავს მეჯლისზე, რომელიმე სამხედრო გემზე. ქალთა საზოგადოებას ამერიკელი კონსულის ოჯახი შეადგენდა, ერთი თუ ორი მოგზაური, რომელსაც ესოდენ შორეული ვოიაჟი გაებედა, ასევე ბრწყნვალე გუნდი ინგლისელი გოგოებისა და ქალბატონებისა. ვგონებ, მათ შრის თვით ლედი პამილტონიც იმყოფებოდა.

კეთილი და პატიოსანი. ოფიცირები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ნოღანთან ახლოს რომეტრიალათ და მეგობრულად შექმნიათ იგი, რათა სხვა არავინ გამოლაპარაკებოდა. ცეკვა ზალისიანად გრძელდებოდა და მოკლე ზანში მათაც კი, ვინც ნოღანის საპატიო მეთვალყურეებად გაამწესეს, გაუქრათ იმის შიში, რომ გაუთვალისწინებელი რამ მოხდებოდა. მხოლოდ მაშინ, როდესაც ერთმა ინგლისელმა ქალბატონმა, შესაძლოა ეს იყო სწორედ ლედი პამილტონი, ითხოვა „ამერიკული ცეკვების“ გამართვა, მოსახლენი მოხდა.

იმხანად ყველა კონტრდანსებს ცეკვავდა. შავკანიანთა ორკესტრმა „ამერიკულ ცეკვებს“, აღტკინებით „ვირჯინი რილი“ მიაყოლა, მერე „მინი-მასკი“ დაუკრეს, რომელსაც იმდროინდელი წესითა და რიგით, „ჩვენი ძვირფასი 13 შტატი“ უნდა მოჰყოლოდა. მაგრამ როგორც კი დირიჟორმა, სახელად დიკმა, თავისი ჯოხით ვიოლინოებს ნიშანი მისცა და ნამდვილი ზანგური მოხდენილობით საზოგადოებისკენ შებრუნდა, რათა გამოუცხადებინა: ბატონებო და ქალბატონებო, „ჩვენი ძვირფასი ცამეტნიონ“, ისევე როგორც მანამდე გამოაცხადა „ვირჯინი რილი, გეთაყვა“ და „მინი-მასკი, გეთაყვა“, სწორედ მაშინ, კაპიტნის ფარუშმა მხარზე მოუთათუნა ხელი, ყურში რაღაც ჩასტურჩულა და დიკს აღარ გამოუცხადებია ცეკვის სახელწოდება; თავის დაკვრა იკმარა და მელოდიაც აუდერდა. ყველა ყველაფერს მიხვდა, უფრო სწორად, მიხვდენ ჩვენი ოფიცირები, ინგლისელ გოგოებს რომ ასწავლილნენ ჩვენებური ცეკვის ილეთებს, ოღონდ აღარ აუხსნიათ მათთვის, ამ ცეკვას რატომ წაერთვა სახელწოდება.

მაგრამ პირველ სიტყვას მოვიდეთ. ცეკვები გრძელდებოდა. როგორც მოგახსენეთ, ნოღანი და ჩვენი ბიჭები უკვე იმდენად გალაღდნენ, რომ სავსებით ბუნებრივი მოეჩვენათ, როდესაც მან თავი დაუკრა ამ არაჩვეულებრივ მისის გრეფს და უთხრა:

„მისს რატლიჯ, იმედი მაქვს, რომ გახსოვართ. თქვენთან ცეკვის პატივს თუ დამდებო?“ ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ ნოღანის თანმხლებმა ფელოუშმა ვერ მოასწრო ჩარევა. ქალმა გაიცინა და თქვა: „მისტერ ნოღან, მე აღარა ვარ მისს რატლიჯი, მაგრამ სულერთია

მაინც ვიცეკვებ თქვენთან“, — ფელოუზს უხმოდ ანიშნა, ნურაფრის შიში გექნებათო, და ნოლანს საცეკვაო მოედნისაკენ გაუძღვა. ნოლანმა იფიქრა, ბედმა გამიღიმაო. იგი იცნობდა ამ ქალს ფილადელფიიდან და სხვაგანაც არაერთხელ შეხვედროდა. მისი ნახვა მართლაც ღვთის წყალობად მოეწეონა. კონტრდანსებში ბევრი ლაპარაკი არაა მიღებული, ისე როგორც კოტილიონსა თუ ვალსის პაუზებში; მაგრამ აქაც შეიძლება ერთი-ორი სიტყვის თქმა ანდა სათქმელის თვალებით გამოხატვა.

ნოლანმა შორიდან მოუარა, ევროპაში მის მოგზაურობაზე სიტყვა ჩამოუგდო, ახსენა ვეზუვი, ფრანგები, მერე კი, როცა ერთი თალია მოათავეს და თავის ჯერს ელოდნენ, პარტნიორს ჯიქურ დაუსვა კითხვა. თანაც ფერი წაუვიდაო, — ასე მიამბო ამ ქალმა მრავალი წლის შემდეგ.

„მისის გრეფ, სამშობლოდან რაღა ისმის?“ და ამ დიდებულმა ქმნილებამ თვალი თვალში გაუყარა ნოლანს. ღმერთო ჩემო, ვერ წარმოიდგენთ როგორი მჩერა ესროლა.

„სამშობლოდან?! მისტერ ნოლან!!! ვგონებ, თქვენ სწორედ ის კაცი ბრძანდებით, სამშობლოს სახელის გაგონებაც რომ აღარ ისურვა“. ესა თქვა და მყისვე გემბანზე მყოფი თავისი ქმრისკენ გაეშურა. საბრალო ნოლანი, როგორც ყოველთვის, კვლავ მარტო დარჩა. მეტი აღარც უცეკვია. არ ძალმის დალაგებით მოვყვე მისი თავგადასავალი. ან კი, ამჟამად ამას ვინ შეძლებდა. და არცა ვცდილობ, გიამბობთ ის გადმოცემები, რომლებიც მითებისაგან გამოვარჩიე, ნოლანზე ორმოცი წლის განმავლობაში რომ შეიქმნა. მის შესახე შეთხზულ სიცრუეთა სახელი ლეგიონია. ბიჭები ამბობდნენ ხოლმე, რომ სინამდვილეში ის იყო „რკინის ნიღაბი“; ხოლო საბრალო ჯორჯ პონსი ისე ჩავიდა სამარეში, რომ ნოლანი „ჯუნიუსის“ ავტორი ეგონა, რომელიც პრეზიდენტ ჯეფერსონზე თავისი სახელგანთქმული ცილისწამებისათვის დასაჯეს. რას იზამ, პონსი მწყრალად იყო ისტორიასთან.

ყველაზე საამო ამბავი ნოლანისა ომის დროინდელია და ზემო-თქმულს მალევე მოჰყვა. მისი სამი თუ ოთხი ვერსია მსმენია. და ვინ იცის, ეგებ მხოლოდ ერთხელ როდი მომზდარა. მაგრამ ვერ გეტეტით, სახელდობრ რომელ გემზე მოხდა. ასეა თუ ისე, ინგლისელებთან ერთ საზღვაო დუელში — ეს იყო ჩვენი ფლოტის ნამდვილი საბრძოლო ნათლობა, მტრისგან ნასროლი ჭურვი პირდაპირ ქიმს მოხვდა და პირწმინდად გააქრო მეზარბაზნეთა თითქმის მთელი გუნდი თავის მეთაურიანად.

სიმამაცის თაობაზე ახლა თქვენ შეიძლება ბრძანოთ, რაც მოგეპრიანებათ, მაგრამ საყურებლად სრულიადაც არ ყოფილა მიშჩიდველი სანახაობა. როდესაც გადარჩენილნი გონის მოვიდნენ და დაღუპულთა ცხელრები სანიტრებთან ერთად გაიტანეს, უეცრად ნოლანი გამოჩნდა. ჟილეტი ეცვა და ხელში ზუმბი ეჭირა. თითქოს მეთაური იყო, ისეთი თავდაჯერებით გასცა ბრძანება, ვის უნდა წაეყვანა დაჭრილები ქვემო ბანში და ვინ უნდა დარჩენილიყო ადგილზე. მშვიდად და დარწმუნებით იქცეოდა, რათა სხვებსაც ეგრძნოთ, ყველაფერი რიგზეა და ყველაფერი რიგზე იქნებაო. ნოლანმა თავისი ხელით დატენა ქვემეხის ლულა, მიზანში ამოიღო მტერი და ცეცხლიო, ბრძანა. ქვემეხის მეთაურად დადგა, მტრის ცეცხლქვეშ მყოფ ბიჭებს ამხნევებდა. ლაფეტზე ჩამომჯდარიყო, ვიდრე ქვემეხის ლულა გრილუბოდა, თავშესაფარი არ უძებნია და თავისიანებს ასწავლიდა, როგორ დაეჭირათ ხელში ჭურვი, საკუთარ შეცდომებზე კიდეც აცინებდა. ქვემეხის ლულა კვლავ რომ გაგრილდა, დატენა და ორჯერ მეტი სიხშირით ისროლნენ, ვიდრე ამ გემზე ოდესმე უსროლიათ. ამასობაში, მებრძოლთა გასამხნევებლად, გემის კაპიტანი დაწინაურდა. მისალმების ნიშნად, ნოლანი თავის ქუდს ხელით შეეხო და კაპიტანს მოახსენა: „სერ, მე ვასწავლიდი ბიჭებს როგორ ვაკეთებდით ამას არტილერიაში.“ და აი, აქ კი ყველა ლეგენდა ერთმანეთს ემთხვევა.

კაპიტანმა თქვა:

— „მე შშვენივრად ვხედავ, რაც გააკეთეთ და მადლობას მოგახ-სენებთ, სერ; და მე არასოდეს დამავიწყდება ეს დღე და თქვენც არასოდეს დაგავიწყდებათ, სერ“.

მას შემდეგ რაც ყველაფერი მოთავდა და ინგლისელები დაგვნებ-დნენ, ოფიციალური ცერემონიალის დროს, გემის კაპიტანმა თქვა:

— „სად არის მისტერ ნოლანი? სთხოვეთ მისტერ ნოლანს აქ მობრძანდეს“.

და როდესაც ნოლანი მოვიდა, კაპიტანმა ასე მიმართა:

— „მისტერ ნოლან, დღეს ჩვენ ყველანი ძალზე მადლიერნი ვართ თქვენი; დღეს თქვენ ერთი ჩევნგანი ხართ; თქვენ მოხსენიბულ იქნებით პატაკში“.

და მერე, ამ ხანშიშესულმა კაცმა, თავისი ხმალი გადასცა ნოლანს და აიძულა, წელთ შემოერტყა. ეს ყველაფერი თვითმხილველმა მიამბო. ნოლანი ბალდივით ტიროდაო, და დიახაც, უნდა ეტირა. მას ხომ, იმ წესით დღიდან, ფორტ ადამსში ხმალი აღარ უტარებდა. ამიერიდან კი საზეიმო ცერემონიებზე მუდამ ატარებდა ამ მოხდენილ ფრანგულ ხმალს, გემის კაპიტანმა რომ უბოძა.

კაპიტანს სიტყვა არ გაუტეხია და ნოლანი მართლაც მოიხსენია თავის პატაკში. იმასაც ამბობდნენ, ნოლანის შეწყალება ითხოვაო. საგანგებო წერილი გაუგზავნია სამხედრო მინისტრის სახელზე, მაგრამ ამას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. როგორც ვთქვი, ეს დაახლოებით იმ ხანებში მოხდა, როცა ნოლანის საქმე უკვე აღარავის ახსოვდა ვაშინგტონში და მისი პატიმრობა გრძელდებოდა, ვინაიდან ვერავის შეწყვეტდა სასჯელის აღსრულებას შინიდან ახალი ბრძანების მიუღებლად.

როგორც მსმენია, ნოლანი ახლდა პორტერს, როდესაც მან ნუკაპიგას კუნძულები დაიკავა. იმ პორტერს კი არ ვგულისხმობ, თქვენ რომ იცნობთ, არამედ უწინდელ პორტერს, ანუ მამამისს — პორტერს „ესექსიდან“. დღევანდელი „ესექსი“ არ გეგონოთ, წინანდელი „ესექსის“ პორტერს ვამბოძ. როგორც არტილერიის ოფიცერმა, რომელიც აღრე დასავლეთ საზღვარზე მსახურებდა,

ნოლანმა ფორტიფიკაციების ამბრაზურების, რაველინებისა და კიდევ რაღაც-რუდაცების შესახებ გაცილებით მეტი იცოდა, ვიდრე სხვა ვინმექ. იგი დიდად ირჯებოდა, ბატარეა წესრიგში რომ ყოფილიყო. ყოველთვის ვფიქრობდი, რაოდენ სავალალოა-მეთქი, რომ პორტერმა იგი გემბლთან ერთად არ დატოვა მეთაურად. მის საჯელთან დაკავშირებით ეს ვეგლაფერს მოაგვარებდა, ჩვენ კი აღარ დავკარგავდით ამ კუნძულებს და ამჟამად წყნარ ოკეანეში ბაზა გვექნებოდა. ხოლო ჩვენი ფრანგი მეგობრები, რომლებიც, აგრეთვე, უპოტინებოდნენ ამ საზღვაო კურორტს, დაინახავდნენ, რომ იგი უკვე დაკავებულია. მაგრამ მედისონმა და მისმა ვირჯინიელებმა ეს საქმე, რასაკვირველია, განზე გასწიეს.

ყოველივე ეს დაახლოებით ორმოცდაათი წლის წინათ მოხდა. თუ ნოლანი მაშინ 30 წლისა იყო, მაშასადამე, ოთხმოცს მიტანებული გარდაცვლილა. ასე, ორმოცისა იქნებოდა, რომ სამოცი წლის მოხუცად გამოიყურებოდა. მაგრამ შემდგომში ერთ ბეწოზეც აღარ შეცვლილა. როდესაც წარმოვიდგენ მის ასავალ-დასავალს, რაც ჩემი თვალით მინახავს და რაც სხვათაგან მსმენია, ვფიქრობ, იგი ნამყოფი იქნებოდა ყველა ზღვაზე და თითქმის აღარასოდეს დაუღგაშს ფეხი ხმელეთზე. ამასობაში ის ჩვენი ფლოტის იმდენ ოფიცერს გაიცნობდა, რამდენიც სხვას არავის დაესიზმრება. ერთხელაც, თავისი ნაღვლიანი ღიმილით მითხრა: მთელი დედამიწის ზურგზე კაცი არ მოიძებნება, ჩემსავთ აწყობილ-დაწყობილი ცხოვრებით ცხოვრობდესო.

„ხომ იცით, ბიჭები ჩემზე ამბობენ, რკინის ნიღაბი არისო. ის კი, მოგეხსენებათ, რაოდენ მოუცლელი ვინმე ბრძანდებოდა“. მერე დასძინა, გაუთავებლად წიგნების კითხვა არ ვარგა, ისევე როგორც სხვა ნებისმიერი საქმიანობაო. ასე მითხრა: „მერე ვავსებ ჩემს უბის წიგნაკებს, ხან რას ვიწერ, ხან რას. გადამაქვს ალბომებში“. ეს მართლაც საინტერესო იყო. ექვსი თუ შვიდი ალბომი ჰქონდა სხვადასხვა თემებზე. ერთი ეძღვნებოდა ისტორიას, მეორე — ბუნების მეტყველებას და ა. შ. იყო ალბომი, რომელსაც „ათასგვარ

წვრილმანს“ ეძახდა. მაგრამ მარტოოდენ გაზეთებიდან ამოჭრილი ტექსტები როდი ბინადრობდნენ იქ. რას არ წააწყდებოდით — გამხმარ მცენაარეებს, ნიუარებს, ხისა და ძვლის მოჩუქუროთმებულ ნაკეთობებს. და ყველაფერს ნახატები ამშვენებდა. გასაგიშებლად ხატავდა. ძალზე სასეირო ნახატები ჰქონდა და ერთობ გულის ამაჩუქებელიც. ასეთი ნამუშვარი ჩემს სიცოცხლეში იშვიათად მინახავს.

ნეტავი ვიცოდე, ვის ჩაუვარდება ხელთ ნოლანის ალბომები. ასე მითხრა, კითხვა და ჩანაწერები ჩემს ხელობად გადაიქცაო. ამ საქმიანობას, ყოველდღე, შესაბამისად, ხუთსა და ორ საათს უთმობდა. მერე თქვა: „ყოველ ადამიანს ხელობის გარდა, გატაცებაც უნდა მოეპოვებოდეს. ბუნების მეტყველება გახლავთ ჩემი გატაცებაო“. ესეც ყოველდღიურად ორ საათს ართმევდა. მისთვის ჩიტები და თევზები მოჰქონდათ, მაგრამ ხანგრძლივ კრუზში მრავალფეხებითა თუ ტარაკანებითა და სხვა მსგავსი წიკო-მაკოებით კმაყოფილდებოდა. ის იყო ერთადერთი ნატურალისტი, ოდესმე რომ შემხვედრია. ვინც იცოდა ყველაფერი ბუზებისა და კოლობის ჩვევებზე. ეს სწავლული ვაჟებატონები მოგახსენებენ ლეპი დოპტერაა თუ სტეპტოპოტერა, მაგრამ როგორ უნდა მოიშორო ისინი თავიდან, ანდა როგორ გაგისხლტებიან, როდესაც ურტყამ, ამაზე ლინეიძ იცოდა ისევე ცოტა, როგორც დღეს ჯონ ფოიძ. ამრიგად, ეს ცხრა საათი შეადგენდა ნოლანის რეგულარულ, ყოველდღიურ საქმიანობას. დანარჩენ დროს ვინშეს ელაპარაკებდა ანდა სეირნობდა. ღრმა სიბერემდე ბევრს დადიოდა და ვარჯიში არ ეზარებოდა. არასდროს მსმენია მისი ავადმყოფობა. თუკი სხვა ვინმე გახდებოდა ავად, კაი მომვლელი ქალივით თავს დასტრიალებდა. მედიცინაში გემის ექიმებზე უკეთ ერკვეოდა. ვინმე რომ მოკვდებოდა, კაპიტანი მყისვე ნოლანს იხმობდა და ისიც ყოველთვის შხად იყო ლოცვანის წასაკითხად. მშეგნივრად კითხულობდა.

ფილიპ ნოლანი მაშინ გავიცანი, ჩემს პირველ კრუიზში, გემზე გარდემანირად რომ ვმსახურობდი. ინგლისთან ომიდან ექვსი-შვიდი წელი იქნებოდა გასული. სწორედ იმხანად დაიდო მონათვაჭრობაზე ხელშეკრულება და ჩვენი მმართველი საგვარეულო, რომელიც ისევ ვირჯინიელთაგან შედგებოდა, ჯერ კიდევ ამჟღავნებდა სენტი-მენტალიზმს იმ დამთრგუნველ საშინელებათა გამო და რაღაც აღმკვეთ ზომებს იღებდა. სწორედ ამგვარ საქმეზე ვიმყოფებოდით სამხრეთ ატლანტიკაში.

თავდაპირველად მეგონა, ნოლანი რაღაც საერო კაპელანის მსგავსი იყო, ანუ კაპელანი-მატროსი. არასოდეს გამომიკითხავს მისი ვინაობა, გემზე ყველაფერი ისედაც მეუცნაურებოდა. ვიცოდი, „შეკითხვების დასმა არიფობად ითვლებოდა და ვფიქრობდი, „სამოქალაქო ფოლა-ქები“ ყველა გემსა ჰყავს-მეთქი. კვირაში ერთხელ ვხვდებოდი საერთო სასადილოში და გვაფრთხილებდნენ, რომ იმ დღეს სამშობლოს შესახებ არაფერი თქმულიყო. მაგრამ ჩვენთვის რომ ეთქვათ, ხმა არ ამოგველო პლანეტა მარსის შესახებ ანდა „მეორე რჯულის“ წიგნზე ძველი აღთქმიდან, მიზეზს მაშინაც არ გამოვეკიდებოდი. მრავალი რამ იყო გემზე, ასევე რომ გაგაკვირვებდა.

„უსამშობლო კაცის“ ამბავი პირველად შევიტყვე, როდესაც ერთ პატარა და ბინძურ შხუნას წამოვეწიეთ, რომელსაც მონები გადაჰყავდა. გემიდან ოფიცერი გაუშვეს საქმის მოსაგვარებლად და რამდენიმე წუთში ნავი უკან გამოგზავნა. გვთხოვდა, ვინმე მაახლეთ, პორტუგალიური რომ იცოდესო. ყველანი ზღვას გადავყურებდით, როცა ეს გვაუწყეს და ვფიქრობდით, ხეტავი პორტუგალიური ვიცოდეთო.

გემის კაპიტანმა იკითხა, პორტუგალიური ვინ იცისო? მაგრამ არცერთმა ოფიცერმა არ იცოდა. და სწორედ მაშინ, როცა კაპიტანმა მატროსებს მიაპყრო თვალი, ნოლანმა წინ წაღვა ნაბიჯი და თქვა: პორტუგალიური ვიცი და მოხარული ვიქნები, თარჯიმნობა გავწიო თუკი კაპიტანი ინებებსო; კაპიტანმა მადლობა გადაუხადა. მეორე ნავი ჩაუშვეს და მისი წაყვანა იღბლად მე დამევალა.

შხუნას რომ მივადექით, იქ ისეთი სანახაობა დაგვხვდა, რომელიც იშვიათად თუ გინახავთ და არასოდეს ისურვებდით ნახვას. ენით გამოუთქმელი სიბინძურე და აუწერელი ქაოსი სუფევდა. ზანგები ბევრნი არ ყოფილან. ვოგენმა, რომ მიეხვედრებინა თვისუფალნი ხართო, ხელ-ფეხზე ბორკილები მოუხსნა და ამჯობინა, შხუნის ეკიპაჟი — არაშზადები შეებორება. ზანგები ბინძურ გემბანზე შეჯგუფლენენ და გარს შემოერტყნენ ვოგენს. ისინი მიმართვდნენ ათასნაირ დიალექტსა და კილოზე — ზულუსური ენის წკლაპუნიდან, რაღაც გაუგონარ დუდლუნამდე.

გემბანზე როგორც კი ფეხი შევდგით, ვოგენმა ვეება კასრიდან გადმოგვხედა, რომელზეც სასოწარკვეთით შეპყრობილი ამძვრალიყო და გვითხრა: „დვთის გულისთვის, ეგებ რამე გააგებინოთ უბედურებს. რომი დავალევინეთ, მაგრამ მაინც ვერ დაწყნარდნენ. აგრე, ეს აყლაყუდა ორჯერ გავაგორე ძირს და ამანაც არ გაჭრა. ჩოკტოუს ტომის ენაზე კი დაველაპარაკე, მაგრამ კისერს მოვიჭრი, იმაზე მეტი თუ გაეგოთ, ინგლისურად რომ დავლაპარაკებოდი.“

ნოლანმა თქვა, პორტუგალიური ვიციო, და ჯგროდან ერთი-ორი კარგი შესახედაობის ზანგი გამოათრიეს. როგორც გაირკვა, ერთხანს პორტუგალიელებთან, ფერნანდო პოს სანაპიროზე უმუშავიათ.

„უთხარით მათ, თავისუფალნი ხართო“, თქვა ვოგენმა, „და ისიც უთხარით, ამ ნაბიჭვრებს ჩამოვახრჩობთ, როგორც კი საგმარის თოკებს ვიშოვით“.

ნოლანმა მისი ნათქვამი გადაუთარგმნა, ანუ ისეთი პორტუგალიურით აუხსნა, რომელიც ზანგებს ესმოდათ და მათ კი, თავის მხრივ, სხვებსაც ამცნეს ამ გასაგებ კილოზე. ატყედა სიხარულის გაუგონარი წივილ-კივილი, მუშტების აღმართვა ჰაერში, ხტუნაობა და ცეკვა -ნოლანს ფეხებს უკოცნილენენ; ყველა გარბოდა, ვოგენისთვის თაყვანი რომ ეცათ, რომელიც კასრზე, როგორც ამ ბედნიერი მოვლენის „დეუს ექს მახინა“ იდგა.

„უთხარით მათ“, თქვა ძალზე ნასიამოვნებმა ვოგენმა, „რომ ყველას პალმასის კონცხზე გავგზავნი“.

ამ სიტყვებს კი ზანგთა აღტაცება აღარ გამოუწვევია. პალმასის კონცხი ერთობ შორს იყო მათი სამშობლოდან. ისინი სამარადისოდ მოსწყდებოდნენ სამშობლოს. და მათი თარჯიმზები, რამდენადაც გვესმოდა, მყისვე აყაყანდნენ; „ოჰ, არა პალმასი; პალმასი-არა!“ და ასახელებდნენ უამრავ სხვა ადგილს, უამრავ კილოკავზე. ვოგენი ძალზე იმედგაცრუებული დარჩა იმით, რომ ამაოდ ჩაუარა გულუხვობად და მოუთმენლად ნოლანს ჰქითხა, რას მიედ-მოედებიანო. საბრალო ნოლანს ოფლის წვეთებით დაენამა გაფითრებული შუბლი, ზანგები ჩააჩუმა და ოქვა:

„ის ამბობს, პალმასი არაო. ის ამბობს, წაგვიყვანეთ სამშობლოში, წაგვიყვანეთ ჩვენს მშობელ მიწაზე, წაგვიყვანეთ ჩვენს საკუთარ სახლში, ჩვენ საკუთარ ცოლებთან და ჩვენ საკუთარ შეიძლებთან წაგვიყვანეთო. ის ამბობს, ჩემს მოხუც დედ-მამას დარდი მოკლავს, თუკი ვედარ მნახავენო. აგრე, ეს კი ამბობს: მთელი სოფელი დასწეულდა და გავემგზავრე ფერნანდოში, თეთრი ექიმისთვის ჩვენთან წამოსვლა და შეელა რომ მეთხოვა, ამ წყეულებმა დამიჭირეს ჩემი სამშობლოს მახლობლად და მას შემდეგ თვისტომი თვალით აღარ მინახავს“. ნოლანმა სული მოითქვა და მერე ძლივს ამოღერლა:

„და ეს კი ამბობს, ექვსი თვეა სამშობლოდან ერთი სიტყვაც არ მსმენია მას მერე, რაც ამ წყეულ შხუნაზე გამომამწყვდიესო“.

ვოგენი მერე ამბობდა, გავჭალარავდი, ვიდრე ნოლანი თავისი თარჯიმნობით იტანჯებოდაო. მე წარმოდგენაც კი არ მქონდა ნოლანის შეჭირვებაზე და მაინც ვიგრძენი, რომ ჰაერი ისე გავარვარდა, თითქოს რაღაც საშინელება უნდა მომხდარიყო.

ზანგებმაც კი შეწყვიტეს კვნესა-გოდება, როცა ნოლანის ტანჯვა — წვალება და ვოგენისგან ისეთივე ძალის თანაგრძნობა შენიშნეს, სხაპასხებით რომ წარმოთქვა: „უთხარით მათ, დიახ, დიახ-თქო. უთხარით, რომ თუნდაც მთვარეზე წავიყვან, თუკი მოისურვებენ. შხუნით უდაბნოს გადაცურვა რომ დამჭირდეს, მაინც წავიყვან სამშობლოში!“

ნოლანმა რის ვაიგაგლახით უთარგმნა ზანგებს ვოგენის ნათქვამი და ისინი კვლავ უკოცნილნენ ფეხებს. ნიშნად მადლიერებისა, ცხვირის ცხვირზე მისახუნება ეწადათ. ნოლანს არაქათი გამოეცალა. უკან დაბრუნების ნებართვა ითხოვა და ნავში ჩავსხედით. როგორც კი კიჩოზე მოვთავსდით და დავიძარით, ნოლანმა მითხრა:

„ემაწვილო, დაე, იცოდე დღეიდან, თუ რას ნიშნავს უოჯახოდ, უსახლკაროდ და უსამშობლოდ ყოფნა. და ოდესმე ისეთი რამის თქმა ან გაკეთება თუკი მოგეპრიანება, რაც მოგწვეტს შენს ოჯახს, შენს სახლ-კარს და შენს სამშობლოს, შეევედრე ღმერთს, რომ მოიღოს მოწყალება და ბოლო მოგიღოს. ძმობილო, მიეჯაჭვე შენს ოჯახს, დაივიწყე საკუთარი თავი. იფიქრე მხოლოდ შენს ოჯახზე. იფიქრე შენს სახლ-კარზე, ძმობილო. გზავნე და გზავნე წერილები შინ. ნუ დაგეზარება. დაე, უფრო ახლოს და ახლოს იყოს შენს ფიქრებში შენი სახლ-კარი, შენი სამშობლო, რაც უფრო მეტად დაშორდები მას. და სწრაფად გაეშურე შინისკენ, როდესაც ბედი გაგიღიმებს, დაუყოვნებლივ გაეშურე, როგორც ეს საბრალო ზანგები მიეშურებიან“.

სიტყვები ყელში ეჩხირებოდა.

„ხოლო სამშობლო... ხოლო ეს დროშა (ხელით მანიშნა გემისკენ)... არასოდეს შემოგეპაროს გულში სხვა ოცნება გარდა იმ ოცნებისა, ემსახურო მას, როგორც გიბრძანებს, თუნდაც ამ სამსახურმა ათასი ჯოჯოხეთი გამოგატაროს. და რაც არ უნდა დაგემართოს, ვინც არ უნდა გაამოს ან დაგამციროს, არასოდეს შეხედო სხვა დროშას. და ერთი დამეც არ გამოტოვო, რომ არ შეევედრო ღმერთს — აკურთხოს ეს დროშა. გახსოვდეს ძმობილო, რომ იმ ადამიანთა მიღმა, ვისაც ცხოვრებაში გადაეყრები, ოფიცრების მიღმა, მთავრობის მიღმა და მთელი ხალხის მიღმაც თვით სამშობლოა, შენი სამშობლო და შენ მისი შვილი ხარ, ისევე როგორც შენი მშობელი დედისა და ისევე ეკუთვნი მას, როგორც საკუთარ დედას. და მედგრად დადექი მის დასაცავად, ისევე, როგორც დაიცავდი დედაშენს, თუკი მას ეშმას კერძი თავს დაესხმოდნენ“.

სასტიკად დამაფრთხო მისმა წყნარმა და თავშეეკავებულმა მღელ-ვარებამ. ძლივს ამოვიხრიალე: ვფიცავ ყველაფერს, ასეც იქნება და სხვაგვარად არასოდეს მიფიქრია-მეთქი. ვგონებ, ჩემი სიტყვები არც გაუგონია. თითქმის ჩურჩულით წარმოოქმნა: „ეპ, ვინმეს რომ ასე დაერიგებინა ჭკუა ჩემთვის, როცა შენხელა მოვიყარე!“

ვგონებ, მისი ნდობა დავისმახურე, რაც არასოდეს უნანია. ეს ამბავიც, შემდგომში დიდად რომ დაგვამეგობრა, დღემდე არასდროს მითქვამს. ძალზე გულითადად მექცეოდა. ჩემი მორიგეობისას, ღამღამობით ხშირად მესტუმრებოდა ხოლმე და ვსეირნობდით გემბაზე. გამანათლა მათემატიკაში და ძალზე დავალებული ვარ მისეან. მათხოვებდა ხოლმე წიგნებს და წარმართავდა ჩემს სწავლა-განათლებას. ასე გულახდილად კი თავისი გასაჭირი აღარ უხსენებია. მაგრამ რასაც გიამბობთ, ოცდაათი წლის განმავლობაში მსმენია სხვადასხვა რფიცერთაგან. როდესაც ჩვენი კრუიზის დასასრულს ერთმანეთის წმ. ომასის ყურეში დაგშორდით, მიჭირს იმის გამოხატვა, რაოდენ დამწუხრებული ვიყავი და რაოდენ გამიხარდა, როდესაც კვლავ შევხვდი 1830 წელს.

მოგვიანებით კი, ვაშინგტონში გარკვეული გავლენა რომ მოვიხვეჭე, ცა და მიწა შევძარი ნოლანის გასათავისუფლებლად. მაგრამ ეს აჩრდილის საპყრობილებან გამოყვანას ჰგავდა. ისინი მიიჩნევდნენ, რომ ეს კაცი არ არსებობს, და არც არასდროს არსებობდაო. ისინი ახლაც ამას იტყვიან. შესაძლოა, მათ მართლაც არ იციან ნოლანის არსებობა. ეს პირველი შემთხვევა როდი იქნება, როცა სამინისტროში არ იციან ის, რაც წესითა და კანონით უნდა იცოდნენ.

ამბობენ, ერთხელაც ნოლანი შეხვედრია ბურს ჩვენს ერთ-ერთ გემზე, როდესაც ამერიკელთა ჯგუფი ხმელთაშუა ზღვაში მოგზაურობდა. მაგრამ მე მგონი, ეს სიცრუეა, ან უფრო სწორად, კარგად მოფიქრებული მითი გახლავთ. ვითომდა ნოლანმა საშინელი წყევლა-კრულვით შეამკო ბური და მერე ჰყითხა, როგორ მოგწონთ უსამშობლოდ ყოფნაო? მაგრამ ბურის ბიოგრაფიიდან ცხადია,

მსგავსი არაფერი მომხდარა. ეს ამბავი მხოლოდ იმის საჩვენებლად მოვიხსენიე, როგორ წარმოიქმნება ხოლმე მითქმა-მოთქმა რომელიმე მოვლენის გარშემო, თუნდაც მცირეოდენი იღუმალებით რომ არის შემოსილი.

საბრალო ფილიპ ნოლანი მთელი სიცოცხლე ნანობდა ყმაწვილ-კაცურ უგუნურებას და ვაჟკაცურად დაემორჩილა თავის უნუგეშო ხველრს, რომელიც თვითონვე დაიტეხა თავს. მას არასოდეს დაუმძიმებია შეგნებულად მათი ტვირთი, ვისაც მის მეურვეობას ავალებდნენ. რაღაც გაუგებრობანი მომხდარა, მაგრამ ნოლანს არასოდეს მიუძღვდა ბრალი.

ლეიტენანტმა ტექსტონმა მიამბო: როდესაც ტეხასს დავეპა-ტრონეთ, ოფიცირებს შორის მსჯელობა გაჩაღდა, ნოლანის საუცხოო რუკების კომპლექტი ხელთ ხომ არ ვიგდოთ, მსოფლიოსა და მექსიკის რუკებიდან ტეხასის ამოსაჭრელადო. შეერთებული შტატები ხომ მაშინვე ამოჭრეს, როგორც კი გეოგრაფიული ატლასი უყიდეს. მაგრამ ბოლოს საქსებით სამართლიანად დაასკვნეს, რომ ამით თვალნათლივ გაუმუდავნებდნენ, რაც მოხდა, ან როგორც პარი კოულმა თქვა, აფიქრებინებდნენ, რომ ბებერმა ბურმა წარმატებას მიაღწია.

ნოლანის ბრალი სულაც არ ყოფილა, ჩემს სუფრაზე იაღლიში რომ შეგვემთხვა, მცირე ხნით რომ ვმეთაურობდი კორვეტ „ჯორჯ ვაშინგტონს“ სამხრეთ ამერიკის ერთ ბაზაზე. ჩვენ ლა-პლატას ყურეში ვიმყოფებოდით. ნაპირზე გადასული ოფიცრები ის-ის იყო შემოგვიერთდნენ და იმის მოყოლით გვარობდნენ, რა უილბლობანი გადახდათ, როდესაც ბურნოს აირესის ნახევრადველურ ცხენებს დააჭინებდნენ. ნოლანიც შემოგვესწრო. უჩვეულოდ კარგ გუნებაზე იყო და ლაპარაკი მოხწყურებოდა. ცხენებიდან ტყაპა-ტყუპზე რომ ჰყვებოდნენ, თავისი ახალგაზრდობაც გაიხსენა, ველურ ცხენებს რომ იჭერდა ტეხასში თავის ავანტიურისტ ბიძაშვილთან ერთად. მაშინ ჯერ კიდევ ყმაწვილი იქნებოდა. დიდი გატაცებით გვიამბობდა

და წუთიერი სიჩუმე ჩამოწვა, რომელიც კარგ მონათხრობს ხშირად მოჰყვება ხოლმე. სიჩუმე თვითონ ნოლანმა დაარღვია და სრულიად გაუცნობიერებლად იკითხა:

„მითხარით გეთაყვა, რა დაემართა ტეხასს? მას შემდეგ რაც მექსიკელებმა დამოუკიდებლობა მოიხვეჭეს, ვიფიქრე, ტეხასის პროვინცია ძალზე სწრაფად დაწინაურდებოდა. ეს ხომ ერთ-ერთი უშვენიერების რეგიონია დედამიწის ზურგზე. ეს ხომ ამ კონტინენტის ნამდვილი იტალიაა... მაგრამ ამ 20 წლის მანძილზე ერთი სიტყვაც არ მსენია ტეხასზე.“

ორი ტეხასელი ოფიცერი გვესწრებოდა. ნოლანს ამდენ ხანს იმიტომ არ სმენოდა ტეხასი, რომ მისი ასავალ-დასავალი გულმოდგინედ ამოჭრილი იყო ხოლმე იმ გაზეთებიდან, ნოლანს რომ აძლევდნენ — მას შემდეგ რაც ოსტინმა სათავე დაუდო იქაურ დასახლებებს. ასე რომ, როცა იგი პონდურასზე ანდა ტამაულიპაზე და ცოტა მოგვიანებით — კალიფორნიაზე კითხულობდა, ამ უკაცრიელმა პროვინციამ, სადაც მისი ძმა ასე შორს მოგზაურობდა, და ვგონებ იქ დალია სული, შეწყვიტა ნოლანისთვის არსებობა.

ნოლანის გულუბრუყვილო შეკითხვაზე ორმა ტეხასელმა — უოთ-ერსმა და უილიამსმა, პირქუშად შეხედეს ერთმანეთს და თავს ძლივს იკავებდნენ, რომ არ გასცინებოდათ. ედუარდ მორისის ყურადღება მიიცყრო მესამე რგოლმა გემის კაპიტნის ჭალის ჯაჭვში. უათოუზს ცხვირის ცემინება აუტყდა. თვითონ ნოლანიც მიხვდა რაღაც შემეშალაო, მაგრამ ვერ ჩამწვდარიყო საქმის არსს. მე, როგორც მასპინძელი, იძულებული გავხდი მეთქვა:

„ტეხასი რუკის გარეთ არის, მისტერ ნოლან... გინახავთ თქვენ კაპიტან ბრეკის ფრიად საინტერესო ანგარიში სერ თომას როუს მობრძანებაზე?“

ამ კრუიზის შემდეგ ნოლანი საერთოდ აღარ მინახავს. სულ მცირე — წელიწადში ორჯერ ვწერდი წერილს, რადგან მოგზაურობისას

ძალზე დავუახლოვდით ერთმანეთს. მაგრამ მას არასოდეს მოუწერია პასუხი. მითხოეს, რომ ამ თხუტმეტი წლის მანძილზე იგი ერთბაშად დაბერდა, მაგრამ კვლავინდებურად კეთილი, თვინიერი იყო და მდუმარებ იტანჯებოდა. ღირსეულად იხდიდა სასჯელს, საკუთარ თავს რომ გამოუტანა. ნაკლებად ეტანებოდა ახალგაცნობილ ადამიანებს, ახალგაზრდები კი ლამის აღმერთებდნენ ნოლანს. და ახლა, ეს ძვირფასი კაცი, ჩანს, აღარაა ცოცხალთა შორის. საბოლოოდ იპოვნიდა თავის სახლსაც და სამშობლოსაც.

ეს რომ დავწერე, კარგა ხას ვფიქრობდი, გამომექვეყნებინა თუ არა, როგორც გაფრთხილება ახალ ნოლანთა — დღევანდელი ვალან-ლიგემებისა და ტეტნოლების მისამართით. შემეხსენებინა, თუ რას ნიშნავს სამშობლოსთან გაყრა. და სწორედ მაშინ მივიღე წერილი დენფორსისგან, „ლევანტზე“ რომ მსახურობდა, და მასში აღწერილი იყო ნოლანის სიცოცხლის უკანასკნელი წუთები. ამან მოსპო, მისი თავგადასავლის გამოქვეყნების თაობაზე, ჩემი ჭოჭმანი.

მეითხველი გაიგებს დენფორსის წერილს, ან მის დასაწყისს მაინც, თუკი გაიხსენებს, რომ ნოლანის მოკვეთიდან ათიოდე წლის შემდეგ, ყოველი კაპიტანი, რომელსაც მისი მეურვეობა ევალებოდა, საჩოთირო დღეში ვარდებოდა. მთავრობას დაავიწყდა ნოლანის შესახებ 1807 წლის ბრძანების განახლება. რა უნდა ექნა კაცს? გაეშვა ტუსაღი შინ? 1807 წლის ბრძანების დარღვევის გამო სამინისტროს პასუხი რომ მოეთხოვა, რა დღეში ჩავარდებოდა?!

დაეტოვებინა გემზე? მაგრამ თუკი ნოლანს ერთხელაც იქნებოდა და გაათავისუფლებდნენ, ხომ შეეძლო სარჩელი აღეძრა უკანონო პატიმრობისა, ან მოტაცების გამო ყოველი მათგანის წინააღმდეგ, ვინც მეურვეობდა? მე ვარწმუნებდი და ვუმტკიცებდი ამას საუდპიროს და, ვგონებ, სხვა ოფიცრებიც იმავეს აკეთებდნენ. მაგრამ მინისტრი ყოველთვის ამბობდა, როგორც ხშირად იციან ხოლმე ვაშინგტონში, რომ საგანგებო ბრძანება არაა გაცემული და თქვენ საკუთარი განსჯით უნდა იმოქმედოთო. ეს იმას ნიშნავს, რომ თუკი

იმარჯვებთ, მხარს დაგიჭერენ და თუკი არ გაგიმართლათ, თქენზე ხელს აიღებენ. კეთილი და პატიოსანი, როგორც დენფორსი ამბობს, ახლა ყველაფერი გასრულდა. დაუ, სიმართლის გამომუდავნებისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიმცენ.

აი დენფორსის წერილა:

კონვეტი „ლევანტი“...

„ძვირფასო ფრედ! მხნეობას ვიკრებ იმის სათქმელად, რომ ჩვენი ძვირფასი ნოლანი აღარ არის. ამ მოგზაურობისას მასთან უფრო მეტ-ხანს ვიყვავი, ვიდრე ოდესმე ვყოფილვარ და ძალიძის მივხვდე, რატომ ლაპარაკობდით ასე თბილად ამ კაცზე. ვხედავდი, რომ უკვე აღარ იყო ჯანზე, მაგრამ არ მეგონა მოახლოება აღსასრულისა. ექიმი ბეჯითად ადენებდა თვალყურს. გუშინ დილით მოვიდა ჩემთან და მითხრა, ნოლანი თავს უქეიფოდ გრძნობს და თავისი კაიუტიდან არ გამოსულაო — რაც აქამდე არასდროს მომხდარა. ნოლანმა ექიმს ნება დართო, მისულიყო და გაესინჯა იგი. ექიმმა პირველად მოინახულა მისი კაიუტა. ნოლანს უთქვამს, რომ ჩემი ნახვა ეწადა. ოპ, ჩემო კარგო, ხომ გახსოვთ, რას არ ვიგონებდით მისი ოთახის შესახებ, როცა „ინტრეპიდზე“ ვმსახურობდით?

ჰოდა, შევაბიჯე მის კაიუტაში. ეს საბრალო კაცი თავის საწოლზე იწვა და გულითადი ღიმილით ჩამომართვა ხელი. ძალზე მისუსტებული მეჩვენა. უნებურად მივიხედ-მოვიხედე. თავისი კაიუტა პაწია სამლოცველოდ გადაექცია. ვარსკვლავები და ზოლები შემოხვეოდნენ ჯორჯ ვაშინგტონის პორტრეტს. თავისი ხელით დაეხატა დიდებული არწივი, ნისკარტიდან ელვას რომ აკვესებდა, კლანჭები ჩაეჭიდა მთელი დედა-მიწისთვის და ზედ ფრთები გადაეშალა.

ბერიკაცმა ჩემს ცნობისმოყვარე მზერას თვალი მოპყრა და ნაღვლიანი ღიმილით თქვა: „აი აქ არის ჩემი სამშობლო!“ მერე ხელი გაიშვირა კედლისაკენ საწოლის ბოლოში, სადაც შეერთებული შტატების ვეება რუკა ეკიდა. როგორიც ახსოვდა, ისეთი დაეხატა და მწოლიარეს მუდამ თვალწინ პქონდა. თვალში მომზვდა მსხვილი

ასოებით გამოყვანილი უცნაური და უჩვეულო წარწერები: „ინდიანას ტერიტორია“, „მისისიპის ტერიტორია“ და „ლუიზიანას ტერიტორია“. ალბათ ჩვენი მამები სწავლობდნენ ამგვარი რუკებით. ბერიკაცს ტეხასიც მიემატებინა. დასავლეთ საზღვარი წყნარ ოკეანემდე იყო მიყვანილი, მაგრამ აღარაფერი წაეწერა.

„ოჰ, კაპიტანო,“ — თქვა მან, „ვიცი, რომ ვკვდები. სამშობლოში ვეღარაფერი დამაბრუნებს. ეგებ ახლა მაინც მითხრათ რამე. არა, მოიცათ, მოიცათ! არაფერი თქვათ მანამდე, ვიდრე გეტოდეთ, თუმცა დარწმუნებული ვარ, ისედაც გეციდინებათ, რომ ამ გემზე და, საერთოდ, მთელს ამერიკაში — ღმერთმა აკურთხოს იგი! — არ მოიძებნება კაცი, ჩემზე მეტად რომ იყოს სამშობლოს ერთგული. არ მოიძებნება კაცი, ჩემსავით რომ უყვარდეს ჩვენი ნაომარი დროშა და ჩემსავით ლოცულობდეს მასზე, ანდა ჩემსავით სჯეროდეს მისი. დენფორს, დროშაზე ახლა ოცდათორმეტი ვარსკვლავია, ამისთვის მადლობას ვწირავ ღმერთს, თუმცა არ ვიცი მათი სახელები. ეტყობა ჩემთვის არცერთი წაურთმევიათ. მადლობა ღმერთს!

აქედან ვასკვნი, რომ არცერთ არონ ბურს არ გამართლებდა“.

მერე ამოიოხრა:

„ო, დენფორს, დენფორს! წყეულ დამის სიზმრად მეჩვენება ყმა-წვილური ოცნება სახელის მოხვეჭაზე ანდა რაღაც უაზრო დამოუკიდებლობაზე, როცა უკან ვიხედები და ვხედავ განვლილ გზას. მაგრამ მიამბეთ, მიამბეთ რამე. ყველაფერი მიამბეთ, დენფორს, ვიდრე სული ამომხდებოდეს.“

ინგემ, გეფიცები, თავი ურჩხულად ვიგრძენი იმის გამო, რომ მანამდე მისთვის არაფერი მითქვამს, სახიფათო იქნებოდა თუ საჩოთიორ. მე ვინ ვიყავი, რომ ამ ხნის მანძილზე ტირანივით ვეპყრობოდი ამ სათნო, წმინდანივით ბერიკაცს, რომელმაც მთელი თავისი მოწიფული ცხოვრებით გამოისყიდა ყმაწვილკაცური ღალატის სიშლეებე?

„მისტერ ნოლან“, ვუთხარი მე, „ყველაფერს გეტყვით, რასაც

კი მთხოვთ. ოღონდ მიბრძანეთ, საიდან დავიწყო?“ ნეტარი ღიმილი გადაეფინა ფერმერთალ სახეზე. ხელი ჩამჭიდა და თქვა:

„ღმერთმა დაგლოცოთ! მითხარით მათი სახელები“, ვარსკვლავებიან დროშაზე მიმითითა, უკანასკნელი, რომელიც შევიტყვე, არის ოპაიო. მამაჩემი კენტუკიში ცხოვრობდა. ვხვდები მიჩიგანს, ინდიანას და მისისიპის — ეს იქ უნდა იყოს, სადაც ფორტ ადამსი მდებარეობდა. სულ ოცი გამოდის, მაგრამ დანარჩენი თოთხმეტი საიდან გაჩნდა? ძველი შტატები ხომ არ დააქუცმაცეთ?“

იოლი მოსაყოლი იყო და ახალი შტატები იმგვარი თანმიმდევრობით დავუსახელე, როგორც გამახსენდა. მთხოვა ჩამომეხსნა კედლიდან მისი შშვენიერი რუკა და ფანქრით გამეკეთებინა წარწერები. იგი აღფრთოვანებული დარჩა, როდესაც ტეხასის შესახებ ვუამბე. მითხრა, როგორ დაიღუპა იქ მისი ბიძაშვილი. ოქროს ჯვრით ჰქონდა მონიშნული ის ადგილი, სადაც მისი სამარე ეგულებოდა. აღტაცებამ შეიძყრო, როცა კალიფორნია და ორეგონი ვუხსენე. ამასო, თქვა მან, მეც ვხვდებოდი, რადგანაც ნაპირზე გადასვლის ნებას არასდროს მაძლევდნენ, თუმცა იქ გემები დიდი ხნით დაყოვნებულან.

მერე კვლავ შორეულ წარსულში გაბრუნდა — ღმერთო ჩემო, რამსიშორეზე! „ჩიზაპიკის“ შესახებ მყითხა და დასაჯეს თუ არა ბერონი იმის გამო, „ლეოპარდს“ რომ დანებდა და არონ ბურს კიდევ ხომ არ უცდია რაიმე მამაძალლობა.

ამ სიტყვებზე კბილები ძლიერად დაახრჭიალა. მაგრამ მაშინვე მოეშვა და თქვა: „ღმერთი მომიტევებს, რადგან მჯერა, მე მივუტევე მას“. შემდეგ განვლილი ომის შესახებ იყითხა, როგორ მეთაურობდა მეზარბაზნებს იმ დღეს, როდესაც ხელთ ვიგდეთ „იავა“. მეკითხებოდა ძვირფასი „დევიდ პორტერის“ შესახებ, როგორც იგი ეძახდა. მერე მყუდროდ მოთავსდა და ბედნიერებით აღვსილი ელოდა რომ მომეთხრო, რა მოხდა ლირშესანიშნავი ამ ორმოცდაათი წლის მანძილზე.

ნეტავი ჩემს ადგილას მრავლი სმცოდნე კაცი ყოფილიყო! მაგრამ ყველაფერი ვიღონე და ყველაფერი გავიხსენე, რაც შემეძლო. ვუამბე ინგლისთან ომი, ვუამბე ფულტონი და ორთქლის გემების გაჩენა.

ვუამბე სკოტსა და ჯეპსონზე. ვუამბე ყველაფერი, რაც გამახსენდა მისისიპის, ნიუ-ორლეანის, ტეხასისა და მისი შშბლიური კენტუკის შესახებ. და თქვენ წარმოიდგინეთ, მან იკითხა: „დასავლეთის ლეგიონს ვინ მეთაურობს?“

ვუთხარი, რომ ეს არის ძალზე მამაცი ოფიცერი, გვარად გრანტი და უკანასკნელი ცნობის თანახმად, იგი თავისი შტაბ-ბინის გადატანას ვირსბურგში აპირებდა. მკითხა: „სად არის ვირსბურგი?“ ვუჩვენე რუკაზე. დაახლოებით ასი მილი იქნებოდა მისი ფორტ ადამსიდან. გულში გავიფიქრე, ახლა ფორტ ადამსიდან ნანგრევებიდა დარჩებოდა მეთქი. „ეს უნდა იყოს ბებერი ვიკის პლანტაცია კაკლის ბორცვებზე“, თქვა მან, — „ეს მართლაც ახალი ამბავია“.

ინგემ, უნდა გითხრა, რომ ძალზე მნელი იყო ნახევარსაუკუნოვანი ისტორია სხულთან ხანმოკლე საუბარში ჩამეტია. აღარც მახსოვს, რას ვეუპნებოდი, ვუამბე გადასახლებანი და მათი მნიშვნელობა, ორთქლის გემები, რკინიგზები, ტელეგრაფი, გამოგონებანი, წიგნები, ლიტერატურა, კოლექები... მაგრამ ისეთ რაღაცებზე მაწყვეტინებდა სიტყვას, გაოცდები. გესმის, ეს იყო ახალი რობინზონ კრუზო, რომელიც მისვამდა შეკითხვებს, 56 წლის განმავლობაში რომ დაუგროვდა.

მკითხა, ამჟამად პრეზიდენტი ვინ არისო? და როდესაც ვუპასუხე, დაინტერესდა, ჩვენი ეიბი გენერალ ბენჯამენ ლინკოლნის შვილი ხომ არ არისო? თქვა, რომ სიყმაწვილეში უნახავს გენერალი ლინკოლნი, როცა ის ინდიელებთან დებდა ხელშეკრულებას. არა-მეთქი და ვუთხარი, ეიბი თქვენსავით კენტუკიდან არის, ოღონდ არ ვიცი, რომელი ოჯახიდან მეთქი. და ისიც ვუთხარი, რომ ხალხის წიაღიძან აღზევდა.

„ძალიან კარგი“, წამოიძახა ნოლანმა, „ძალიან მიხარია; ამაზე ბევრჯერ დავფიქრებულვარ და ვასკვნი, რომ ქვექნისათვის სახითათოა წარჩინებული წარმოშობის პირთა მუდმივი ძალაუფლება“.

მერე ვუამბე ვაშინგტონში ჩემი გიზიტის შესახებ, ვუამბე შეხველრა ორეგონელ კონგრესმენ ჰარდინგთან; ვუამბე სმიტსონის ინსტიტუტსა და სამეცნიერო ექსპედიციების შესახებ; ვუამბე კაპიტოლიუმსა და ფრონტონზე ქანდაკებათა შესახებ, კროუფორდის „თავისუფლება“ და გრინეგის „ვაშინგტონი“ ვუამბე.

ინგე, ვუამბე ყველაფერი, რაც მისი სამშობლოს სიდიადეს და აყვავებას უჩვენებდა, მაგრამ ენა არ მომიბრუნდა, ეს წყეული სამოქალაქო ომი რომ მეხსენებინა!

ნოლანი ისე ტკბებოდა ჩემი მონათხრობით, რომ არ ძალმიძს ამის გაღმოცემა. უფრო და უფრო სიტყვამუნწოდება. მაინც არ მეგონა, რომ დაიღალა, ანდა მისუსტდა. მივაწოდე ჭიქა წყალი. მან მხოლოდ ტუჩები დაისველა და ჯერ არ წახვიდეო, მითხრა. მერე მთხოვა მისთვის პრესვიტერიანთა „საჯარო ლოცვის წიგნი“ მიმეწოდებინა, რომელიც იქვე იღო, და ლიმილით მითხრა: საჭირო ადგილას თვითონ გადაიშლებაო. ასეც მოხდა. იქ იყო მისი ორმაგი წითელი ნიშნული ფურცლის ძირში. მუხლი მოვიყარე და დავიწყე კითხვა. ნოლანი იმეორებდა:

„ჩვენთვის და ჩვენი ქვეყნისათვის, მოწყალეო უფალო, მაღლობას გწირავთ შენ, რომ მიუხედავად ჩვენი გადახვევებისა შენი წმინდა კანონებიდან, საოცარ სიკეთეს არ იშურებ ჩვენთვის“... და ა. შ.

მერე ნოლანი მიუბრუნდა ამ წიგნის დასასრულს და მე წავიკითხე ლოცვა, რომელსაც უკეთ ვიცნობდი:

„მთელი სულითა და გულით გევედრებით წყალობას, რომ აკურთხო შენი მსახური შეერთებული შტატების პრეზიდენტი და მთელი ჩვენი ხელისუფლება“.

„დენფორს“, თქვა მან, „უკვე 55 წელიწადია, მე ვიმეორებ ამ ლოცვებს დღისით და ლამით“.

მერე მითხრა, ახლა კი დავიძინებო. თავი დამახრევინა და შუბლზე მეამბორა. ბოლოს დასძინა: „კაპიტანო, როდესაც მოვკვდები, ჩემს ბიბლიაში ჩაიხდეთ“.

დავტოვე იგი, მაგრამ არ მიფიქრია, რომ ეს იყო აღსასრული.

მეგონა დაიღალა და დაიძინებს-მეთქი. ვიცოდი, რომ უსაზღვროდ ბეჭნიერი იყო და მსურდა, მარტო დარჩენილიყო.

მაგრამ ერთი საათის შემდეგ, როცა ექიმი ფეხაკრეფით მასთან შევიდა, დაინახა, რომ ნოლანი ღიმილით შეხვედროდა სიკვდილს. რაღაც მიეკრა ტუჩებთან. ეს ცინცინატის ორდენის ნიშანი იყო, მამა-მისს რომ ექუთვნოდა.


ჩვენ ჩავიხედეთ მის ბიბლიაში და დავინახეთ ქაღალდის ნიშნული იმ ადგილას, სადაც აი, ეს ტექსტი იყო ხაზგასმული:

„მაგრამ უკეთესისკენ მიიღტვოდნენ, ესე იგი, ზეციურისკენ; ამიტომაც ღმერთს არ რცხვენია მათ გამო და მათს ღმერთს უწოდებს თავის თავს, რადგანაც განუმშადა მათ ქალაქი“ (ებრაელთა მიმართ -11, 16).

ქაღალდის ნაგლეჯზე ეწერა:

„დამმარხეთ ზღვაში, ზღვა იყო ჩემი სახლი და მე მიყვარს ის. მაგრამ ეგებ ვინმებ ერთი ქვა დადოს ფორტ ადამსში, ანდა ორლეანში ხსოვნად იმისა, რაოდენ აუტანელი სირცხვილი ვჭამე. დაე, ამ ქვაზე დაწერონ:“

„შეერთებული შტატების არმიის ლეიტენანტის ფილიპ ნოლანის მოსახსენიებლად. მას უყვარდა თავისი სამშობლო ისე, როგორც არავის ჰყვარებია, მაგრამ ის იყო ყველაზე უღირსი მის შვილთაგან“.



ნოლანის სახელმოფო

თემა ნაცნობია, იდეაც, სიუჟეტიც... ანდა იმიტომ ტოვებს ასეთ გრძნობას, რომ გმირია ძალზე ახლობელი (მოკვეთილი), ისეთი ახლობელი, რომ ამ ურთიერთობისთვის სახელიც ვერ მომიძებნა. ის კი უკვე დანამდგილებით ვიცი, უსამშობლო კაცს ახლა ნოლანი ჰქვია.

ის ჩაითრიეს რაღაც სახელმწიფო ავანტიურაში. დიდ ქალაქში ბრალდებულთა სასამართლო პროცესი გაიმართა. წვრილფეხობამ კი თავის პროვინციულ სცენაზე გაიმეორა სპექტაკლი. ღლავები, როგორც ყოველთვის ხდება, გაუსხლტნენ მსჯავრს. მართლ-მსაჯულებას ხელში მხოლოდ ნოლანი შერჩა.

ეს უკვე მოთხრობის სიუჟეტია. მე კი ორიოდე სიტყვა თვითონ მწერალზე მინდოდა მეთქვა.

წინასიტყვიდან გავიგე, რომ ედუარდ ჰეილი მეცხრამეტე საუკუნის ამერიკელი მწერალია. სასულიერო პირი იყო და ერთხანს ამერიკის შეერთებული შტატების სენატშიც მოღვაწეობდა კაპელანად — უყურებდა სენატს და ლოცულობდა ხალხისთვის.

მოთხრობის დასაწყისიდანვე იგრძნობა, რომ ედუარდ ჰეილი ლიტერატურაში დიდაქტიკურ მოტივს უფრო სწყალობდა: „ეგებ ღირდეს მოგითხოთ მისი (ნოლანის) თავგადასავალი, რათა ვუჩენოთ ჩვენი დროის ახალგაზრდა ამერიკელებს — რას ნიშნავს უსამშობლო კაცად ყოფნა“.

მე არ ვიცი, რა გავლენა მოახდინა ამ მოთხრობამ ასორმოდაათი

წლის წინათ ამერიკელ ახალგაზრდებზე, არც ის ვიცი, რა შთაბეჭდილებას დატოვებს დღევანდელ ქართველ მკითხველზე, თუმცა გაზეთის რედაქციის („ჩვენი მწერლობა“) და მთარგმნელის (თამაზ ნატროშვილი) არჩევანში დაიმედებული (მჯერა, რომ არც მთარგმნელი მოჰკიდებდა ხელს უსარგებლო ლიტერატურას და არც სარედაქციო კოლეგია დაუთმობდა სამ გაქათქათებულ გვერდს), ხელახლა ვიწვევ მკითხველს „უსამშობლო კაცის“ წასაკითხად.

კარგად გამართული სიუჟეტი, თხრობის ოეალურ-პუბლიცისტური ტენდენცია მკითხველის ნდობას იწვევს და კითხვის პროცესს სასიამოვნოდ აადვილებს.

ვისაც წერილისთვის მხოლოდ თვალის გადავლება სჩვევია, მათთვის გავიმეორებ: ლეიტენანტი ნოლანი, მხიარული და გონება-მახვილი ახალგაზრდა კაცი, ჩაითრიეს რაღაც სახელმწიფო ავანტიურაში (იქნებ მართლაც ცრუ ბრალდება იყო, თუმცა ამის გარკვევა არც მწერალს უცდია). და აი, მისისიპის ველზე, სამხედრო სასამართლოს წინაშე ის წარდგა როგორც სახელმწიფო დალატში ბრალდებული.

მსგავსი რამ ჩვენშიც ათასობით მომხდარა, იქნებ ახლაც ხდება. ამ ამბავში ახალი თითქოს არაფერია, თუმცა ვნახოთ, შესაძლოა ძიების პროცესი ისე საინტერესოდ განვითარდეს, (დეტექტიური უარი?) რომ ძეველ და ახალ ავანტიურისტთა მოქმედების ყველა საიდუმლო სისტემა გამჟღავნდეს.

არც ის იქნება უინტერესო, თუ შეთქმულთა ფსიქოლოგიურ მდგომარეობას მძაფრ კრიტიკულ სიტუაციაში დავინახავთ, (ფსიქოლოგიური დრამა?) ან იქნებ დალატში ქალია გარეული? ვინმე ესპანელი ოფიცრის, ანდა ფრანგი ვაჭრის ქალიშვილი (უიმათოდ ხომ არაფერი ხდება) ლეიტენანტი ნოლანიც ხომ ახალგაზრდა მხიარული კაცია?

თუმცა არაფერი მსგავსი, ნოლანი სასამართლოს წინაშე დგას

და განაჩენის გამოცხადებამდე მას უკანასკნელი სიტყვის უფლებას აძლევენ.

ნოლანს მისცეს საშუალება, სიტყვით მაინც დაედასტურებინა შეერთებული შტატებისადმი ერთგულება, მან კი რა გააკეთა? მთელი თავისი რისხვა სწორედ საკუთარ სამშობლოს დაატეხა თავს:

„ეშმაკმა დალაზვროს თქვენი შეერთებული შტატები! ღმერთო ჩემო, აღარასოდეს გამაგონოთ შეერთებული შტატების სახელი.“

აქ ედუარდ ჰეილი (მწერალი) თავად ერთვება მოქმედებაში და მკითხველის წინაშე ნოლანს სენატის კაპელანის შესაფერი ტონით ამუნათებს: „სწორედ შეერთებული შტატები აჭმევდა მას (ნოლანს) პურს არმიაში სამსახურისას, სწორედ შეერთებულ შტატებს შეჰვიცა მან ერთგულება, როგორც ქრისტიანმა, სწორედ შეერთებულმა შტატებმა უბოძა მას ოფიცრის მუნდირი და ხმალი.“

მუნათა, თუმცა მამოძრივ საყვედურს უფრო პგავს, კაპელანის ამ სიტყვებს იქნებ სასამართლოზეც მოეხდინა გავლენა, პოლკოვნიკ მორგანს ის განაჩენის გამოცხადებამდე რომ მოეხმინა.

რადგან ეს ასე არ მოხდა, სასამართლოს შეუძლია ამერიკის შეერთებული შტატების შეურაცხყოფისთვის (ეშმაკმა დალაზვროს) კიდევ უფრო დაუმძიმოს ბრალდებულს სასჯელი. ვთქვათ, ციხის პატიმრობას ორიოდე წელიც დაამატოს, ან კატორდაში მუშაობა გაახანგრძლივოს, ჩამოხრჩობის მუხლში, სპეციალური მითითებით, სასჯელის გაუსანთლავი თოკით აღსრულება ბრძანოს.

ესაა და ეს, სხვა რა შეუძლია სასამართლოს?!

ნოლანს ეგონა, მკაცრი სასამართლოს წინაშე იდგა, ხანდაზმული თავმჯდომარე პოლკოვნიკი მორგანი კი ამერიკის კანონმდებლობაში ყველაზე შესაფერის მუხლს ეძებდა ბრალდებულის დასასჯელად, მაგრამ ნოლანი შეცდა. ის უზენაესი კეთილმოწყალე სამსჯავროს წინაშე აღმოჩნდა, სადაც დამნაშავეებს მხოლოდ საკუთარი სურვილების აღსრულებით სჯიან.

ნოლანი ითხოვდა: „ღმერთო ჩემო, არასოდეს გამაგონოთ შერთებული შტატების სახელი“.

პოლკოვნიკმა მორგანმაც განაჩენი თითქოს „სხვა რიგის“ კანონმდებლობიდან ამოიკითხა:

„პატიმარო, ისმინე სამართლიანი განაჩენი, სასამართლომ გადაწყვიტა, თუკი პრეზიდენტი დასტურს მოგვცემს, თქვენ აღარასოდეს გაიგონოთ სახელი შეერთებული შტატებისა“.

სასამართლომ ნოლანს საკუთარი სურვილის დაკმაყოფილება მიუსაჯა.

პრეზიდენტმა დაადასტურა განაჩენი და მისი აღსრულება სამხედრო — საზღვაო სამინისტროს მიანდო. ტუსაღი ფილიპ ნოლანი აიგვანეს გემზე, როგორც ჩვეულებრივი მგზავრი, ის უზრუნველყველებული საცხოვრებლით, სამოსელით, მას არასოდეს უგრძნია დამცირება, მისთვის არასოდეს შეუხსენებიათ, რომ იყო ტუსაღი იყო.

ნოლანს არ ჰქონდა უფლება ნაპირზე გადასულიყო. მას შეეძლო წაეკითხა ყველა ის წიგნი, სადაც ამერიკა არ იყო ნახსენები, ენახა ყველა ის გაზეთი, საიდანაც ამოჭრილი იყო თუნდაც სულ მცირე ცნობა ამერიკის შესახებ, ეტარებინა სამხედრო მუნდირი სამხედრო ფოლაქების გარეშე, სადაც აღბეჭდილი იყო ინიციალები და ემბლემა სამშობლოსი, რომელსაც განუდგა. ნოლანს არასოდეს სმენია (ორმოცდათხუთმეტი წლის მანძილზე) სამშობლოს სახელი. უსამშობლო კაცს გემზე „სამოქალაქო ფოლაქები“ შეარქვეს.

ნოლანი გახდა ახალი ოდისეესი, ამერიკელი ოფიცრის ხვედრი ითაკეს მეფის განსაცდელზე ბევრად უფრო სასტიკი იყო, ამერიკულმა მართლმსაჯულებამ უფრო მეტის გაკეთება შეძლო (ოდისეესი მაინც დაბრუნდა სამშობლოში, ხოლო ნოლანს სამშობლოს სახელიც კი არ სმენია) ვიდრე ძველბერძენმა ღმერთებმა, ნიმფა კალიფსოს ცბიერებამ თუ ციკლოპის რისხვამ.

მას, ნოლანს, ოდისეესისგან განსხვავებით, საკუთარი სურვილი ექცა სასჯელად. ის ყოველთვის ნანობდა თავის ყმაწვილკაცურ

უგნურებას, რომლის გამოც უმკაცრესი სასჯელი დაიტეხა თავს, თუმცა ძალზე თვინიერად იტანდა ამ სასჯელს და მდუმარედ იტანჯებოდა.

ნოლანის უკანასკნელი სიტყვები, ქაღალდის ნაგლეჯზე საკუთარი ხელით დაწერილი შეერთებული შტატების არმიის ლეიტენანტის, ფილიპ ნოლანის მოსახლენიებელი, უთუოდ ყველა მკითხველის (მათ შორის ქართველის) გულს შეძრავს:

„მას უყვარდა თავისი სამშობლო, როგორც არ ჰყვარებია არავის, მაგრამ ის იყო ყველაზე უღირსი მის შეილთაგან.“

მეც გული მწყდება, რომ უფრო ადრე არ მქონდა ეს მოთხრობა წაკითხული. ათი, ოცი... თუნდაც ასორმოცდაათი წლის წინათ... და მშურს ყველა იმ ქვეყნისა, სადაც ყველაზე უღირსი შვილი, ასეთ რჩევა-დარიგებას უტოვებს ახალგაზრდა თაობას: „ხოლო სამშობლო... ხოლო ეს დროშა (ნოლანმა ხელით ანიშნა გემისკენ)...“

არასოდეს შემოგეპაროს გულში სხვა ოცნება, გარდა იმ ოცნებისა, ემსახურო მას, როგორც გიბრძანებს, თუნდაც ამ სამსახურმა ათასი ჯოჯოხეთი გამოგატაროს. და რაც არ უნდა დაგემართოს, ვინც არ უნდა გაამოს ან დაგამციროს, არასოდეს შეხედო სხვა დროშას და ერთი დამეც არ გამოტოვო, რომ ღმერთს ამ დროშის კურთხევა არ შეავედრო. გახსოვდეს, ძმობილო, რომ იმ ადამიანთა მიღმა, ვისაც ცხოვრებაში გადაეყრები, ოფიცირების მიღმა, მთავრობის მიღმა და მთელი ხალხის მიღმაც არის სამშობლო, შენი სამშობლო და შენ მისი შვილი ხარ, ისევე როგორც შენი შშობელი დედისა. და ისევე ეკუთვნი მას, როგორც მშობელ დედას და მეღვრად დადექი მის დასაცავად ისევე, როგორც დაიცავდი საკუთარ დედას, თუკი მას ეშმაკის კერძი თავს დაესხმოდნენ.“

სამშობლოსადმი ნოლანის გულწრფელ სიყვარულს ისიც ადასტურებს, რომ ეს უსამშობლო კაცი ორმოცდათხუტმეტი წლის განმავლობაში, დღისით და ღამით, განუწყვეტლივ ლოცულობდა თავისი ქვეყნის, პრეზიდენტის და ხელისუფლებისათვის. თუმცა

ნოლანმა არც პრეზიდენტის სახელი იცოდა და არც ის, თუ რომელი ხელისუფლება მართავდა ამერიკის შეერთებულ შტატებს.

ხედავთ, რა ადვილი ყოფილა სახელმწიფოსთვის ორგულის გაერთგულება, საკმარისია, სახელმწიფოს ღალატში ეჭვმიტანილს აეკრძალოს თავისი ქვეყნის სახელის ხსენება, რომ ის უმაღ სამშობლოს მოსიყვარულე შვილად იქცეს.

რა თქმა უნდა, ყველაფერი ასე ადვილად არ ხდება. არც ეს მოთხოვთ, ერთი შესედვით კომენტარებით დატვირთულ სასა-მართლო ისტორიას რომ გვაგონებს, არაა მოკლებული ქვეტექსტურ აზრს და ფილოსოფიურ სიღრმეს.

მე მხოლოდ ერთ მათგანს მივაქცევ თქვენს ყურადღებას.

მომავლავმა ნოლანმა სთხოვა კაპიტანს, მის ბიბლიაში ჩაეხედა.

„უსამშობლო კაცს“ წმიდა წიგნში ეს ტექსტი ჰქონდა ხაზგას-მული: „მაგრამ უკაეთესისკენ მიიღებოდნენ, ესე იგი, ზეციურის მიმართ, ამიტომაც ღმერთს არ რცხვენა მათ გამო და მათს ღმერთს უწოდებს თავის თავს, რადგანაც განუმზადა მათ ქალაქი“ (ებრაელთა მიმართ 11, 16).

მოციქულ პაკლეს წერილი ებრაელთა მიმართ, მეთერთმეტე თავში (საიდანაც ეს ნაწყვეტია ამოღებული) ბიბლიურ პატრიარქებს — ისაკს, იაკობს, იოსებს, მოსეს და სხვათ ეხება. აქ საუბარია რწმენაზე და მაგალითებზე.

„რწმენაში დაიხოცნენ ესენი ყველანი და ვერ მიიღეს აღთქმულნი, მხოლოდ შორიდან უყურებდნენ მათ და აღიარებდნენ, რომ უცხონი და ხიზნები არიან ამ ქვეყანაზე (11.13), ვინაიდან ისინი, ვინც ასე ლაპარაკობენ, ცხადყოფენ, რომ სამშობლოს ეძებენ (11. 14), ხოლო თუ გაიხსენებენ საიდან გამოვიდნენ, ექნებოდათ იქ დაბრუნების დრო (11. 15). მაგრამ მათ სურდათ უკაეთესი (11. 16) (შემდეგ როგორც მოთხოვთაშია.) მათ სურდათ უკაეთესი და ამიტომ არ ბრუნდებოდნენ იქ, საიდანაც გამოვიდნენ (ნოლანიც ხომ საკუთარი სურვილით გამოვიდა). ისინი ეძებდნენ

სამშობლოს, მაგრამ აღიარებდნენ, რომ ამ ქვეყანაზე უცხონი და ხიზნები იყვნენ, ისინი ეძებდნენ ზეციურ ქვეყანას, რომელიც მათ ღმერთმა განუშავდა.

ნოლანი საშინელ ნოსტალგიას განიცდიდა, მაგრამ ნუთუ, მის მიერ გაზრდილი სიყვარული სამშობლოს მიმართ, („ეზი მზრდელად სიყვარულისა“ — რუსთაველი) იმ ქვეყანას ეკუთვნოდა, რომელიც მან ორმოცდათხუთმეტი წლის წინ დატოვა, სადაც არონ ბური ცხოვრობდა, სადაც სამოქალაქო ომი მძვინვარებდა (კაპიტანმა ნოლანს დაუმალა ამ ომის ამბავი), სადაც სასამართლო პროცესები სპექტაკლებს ჰგავდა, ხოლო ზაფხულის ერთფეროვნების დასარ-ღვევად, ოფიცრები სამხედრო ტრიბუნალს მართავდნენ ნოლანის არჩადენილი დანაშაულის დასამტკიცებლად.

სადაც ნოლანის შემდეგ შეიცვალა პრეზიდენტი, ხელისუფლება, საზღვრები, ხალხი... გაჩნდა ახალი წიგნები, ლიტერატურა, კოლეჯები, ტელეგრაფი, რკინიგზა, ორთქლის გემები...

არა, ეს ნამდვილად არ იყო ის ქვეყანა, რომლისთვისაც ნოლანი ლოცულობდა. „უსამშობლო კაცმა“ სამშობლოს ზნეობრივი ღირებულების საფუძველზე შექმნა ახალი სახელმწიფო (ახალი შეერთებული შტატები), რომელიც იმდენად განსხვავდებოდა ერთ დროს უარყოფილი სამშობლოსგან, რამდენადაც ოთხმოც წელს მიტანებული, კეთილი, სამშობლოზე მლოცველი ბერიკაცი იმ უგუნური ყმაწვილკაცისგან, რომელმაც დაუფიქრებლად ისურვა არასოდეს გაეგონა თავისი ქვეყნის სახელი.

ნოლანმა თავისი კაიუტა (სახელმწიფო) სამლოცველოდ გადააქცია. აქ ვარსკვლავები და ზოლები ჯორჯ ვაშინგტონის პორტრეტს ზედ ეხვეოდა. საკუთარი ხელით დახატულ არწივს კი, ნისკარტიდან ელვას რომ აკვესებდა, კლანჭები მთელი დედამიწისთვის ჩაეჭიდა....

— აი, აქ არის ჩემი სამშობლო! — თქვა ნოლანმა.

ეს იყო ერთი კაცის, უსამშობლო კაცის სახელმწიფო. ნოლანმა

ის საკუთარი თავისუფლების, ტანჯვისა და მოთმინების ფასად შექმნა. სწორედ ეს სახელმწიფო გახდა იდეალი სამოქალაქო ომში ჩაბმული ამერიკელებისთვის. (ნოლანი ხომ ეროვნული მითია) და თუ დღეს რაიმე გვსმენია ამ ქეყანაში (შეერთებული შტატები) მისი მოქალაქეების მაღალ სახელმწიფოებრივ შეგნებაზე, სახელმწიფოსთვის ზრუნვაზე, დროშის პატივისცემაზე, ვიცოდეთ, რომ ჯერ ნოლანს უყვარდა, ჯერ ნოლანი ლოცულობდა მისთვის, პირველად ნოლანმა შეხედა რწმენით სახელმწიფოებრიობის სიმბოლოს — დროშას.

ჩემთვის ეს მოთხოვბა მართლაც „ახალია“, ახალია ჩემ მიერ მოპატიუებული მყითხველისთვისაც, რადგან ჩემსავით, არც მან იცის, თუ რა ფერისაა მისი სახელმწიფო დროშა, ან რა უნდა იყოს მასზე გამოსახული...

და კიდევ არის რაღაც ისეთი ამ მოთხოვბაში, რაც ჩემს ლიტერატურულ-პოლიტიკურ (არაპარტიულ) აზროვნებას ახალ სარბიელს აძლევს.

თუ ერთ დღეს თქვენც ნოლანივით გემზე გაიღვიძეთ და ნახეთ, რომ თქვენი სამშობლო, რომელიც ისედაც ჩიტის მოშლილ ბუდეს ჰგავს, ხელახლა ეხვევა ავანტიურისტულ ქსელში, რომ არონ ბურს კიდევ რაღაც ახალი მამაძაღლობის ჩადენა განუზრახავს (არონ ბურები ხომ მრავლადა გვყავს), შეუკურთხე მას, განუდექი და დაივიწყე. დაიწყე შენს „კაიუტაში“ ახალი სახელმწიფოს (ნოლანის სახელმწიფო) მშენებლობა.

თამამად აღადგინე სახელმწიფოს ტერიტორიული საზღვრები, (ახლა მაინც ნუ შეგაკრთობს საერთაშორისო სამართლის ხშირად ურთიერთგამომრიცხავი ნორმები).

მოსპეკორუფია, ქურდობა, ავაზაკობა, დაამკვიდრე ჭეშმარიტი დემოკრატიული ღირებულებები, შეარიგე ხელისუფლება ხალხთან, ორივე კი — დმერთან, ააღორძინე განათლება, კულტურა, ურთიერთნდობა და სიყვარული, არ დაუშვა ხალხის ბრბოდ ქცევა, არ

დაუშვა ლირსეული ადამიანების მუდმივი ჯვარცმა.

ეს იქნება რწმენით აშენებული ერთი კაცის სახელმწიფო, მაგრამ სულ მალე, მისკენ დაიძვრის მთელი ერი, როგორც ებრაელი ერი დაიძრა აღთქმული ქვეყნისაკენ.

ეჭვით, უნდობლობით, ურწმუნოებით, მაგრამ მაინც დაიძვრებიან...

გია არგანაშვილი

სარჩევი

რედაქტორისგან	5
ელუარდ ევერუტ ჰეილი (1822-1909).....	8
წინათქმა	11
უსამშობლო კაცი.....	17
ნოლანის სახელმწიფო (გია არგანაშვილი)	51

ISBN 978-9941-8-5638-9



9 789941 856389 >